ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელაბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ხატია დავითაძე

ქართული სასკოლო განათლების ფორმირების აქტუალური საკითხები აჭარაში 1918-1921 წლებში

ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: განათლების აკადემიური დოქტორი,
ასოც. პროფესორი - რომან აბაშიძე

ხიჭაური 2021

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ხატია დავითაძის ნაშრომში „ქართული სასკოლო განათლების ფორმირების აქტუალური საკითხები აჭარაში 1918-1921 წლებში“ განხილულია მოცემულ წლებში აჭარის სოციალურ–პოლიტიკური მდგომარეობა. სამაგისტრო ნაშრომი ასევე მოიცავს აღნიშნული წლების ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ რთულ პირობებში უხდებოდა აჭარაში ქართულ სასკოლო კერებს ბრძოლა მაჰმადიანური და რუსული სასკოლო კერების წინააღმდეგ და როგორ ახერხებდა ეროვნული შეგნების განმტკიცებას აქაურ მოსახლეობაში.

ნაშრომი ასევე ისტორიულ ჭრილში განიხილავს 1918–1921 წწ დაარსებული ქართული სასკოლო ქსელის გაფართოების აქტუალურ საკითხებს.

ნაშრომი შედგება შესავალის, ორი თავის, დასკვნებისა და ლიტერატურისაგან.

Annotation

In the thesis of Khatia Davitadze on "the condition of school education in Adjaria in 1918-1921's" is considered the social-political situation of Adjaria during this period. Master's thesis, also, includes the Georgian school's history about how it was hard to battle against the Muslim and Russian schools and how did it make to increase national consciousness in native population.

There is, also, considered the actual issues of enlargement of Georgian schools, established in 1918-1921's in this thesis.

Thesis consists of introduction, two chapters, conclusion and bibliography.

შინაარსი

შესავალი.....5

თავი I. აჭარისსოციალურ-პოლიტიკური, საგანმანათლებლოდა კულტურულივითარებადედასამშობლოსთანდაბრუნების შემდეგXIX-XX საუკუნეების მიჯნაზე..... 10

თავი II. ქართულისასკოლოგანათლებისფორმირებისსაკითხები აჭარაში 1918-1921წწ----------29

დასკვნები..... 48

გამოყენებულილიტერატურა 52

შესავალი

ცივილიზაციის განვითარების პროცესში განათლების სისტემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განათლებამ, როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი ყოფის პრიორიტეტულმა დარგმა, საუკუნეების განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა და მტკიცე ადგილი დაიკავა საზოგადოების განვითარებაში.

მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიის შესწავლით ვრწმუნდებით, რომ ყოველი ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის დამკვიდრებას აუცილებლად მოსდევდა აღზრდისა და განათლების სფეროს შესაბამისი გარდაქმნაც. ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებით ნაკარნახევი საგანმანათლებლო რეფორმები სერიოზულ წარმატებას აღწევდა იქ, სადაც ამ ურთულესი პროცესის წინამძღოლად მეცნიერული აზრი ბატონობდა. ნებისმიერი რეფორმა, რომელიც ცხოვრებით არის ნაკარნახევი, მეცნიერულ დასაბუთებას საჭიროებს. ამიტომაც განათლების რეფორმი დახასიათებისას, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ყველა კონკრეტულ დეტალს, მათ შორის ქვეყნის ისტორიულ წარსულს და კულტურული ცხოვრების მახასიათებლებს.

აჭარა, როგორც ძველი მესხეთის შემადგენელი ნაწილი, სისხლხორცეულადაა დაკავშირებული დედასაქართველოს ძირძველ ისტორიასთან. აჭარის მკვიდრნი მრავალი საუკუნეების მანძილზე თავიანთ ძმებთან – ქართველებთან ერთად იბრძოდნენ უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, იცავდნენ მათ სამშობლოს, მამულს, ენას, სარწმუნოებას, მაგრამ ისტორიულმა ბედუკუღმართობამ აჭარა მოწყვიტა საქართველოს და სამი საუკუნის მანძილზე ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოაქცია, რამაც ნეგატიური როლი ითამაშა ამ კუთხის ცხოვრების ყველა სფეროზე და განსაკუთრებით ხალხის განათლებაზე, კულტურაზე, ზოგადად, ეროვნულ ცივილიზაციაზე.

სამასწლიანი ბატონობის დასრულების და დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ აჭარას მაინც მძიმე პირობებში უხდებოდა ჭრილობების მოშუშება, რადგან

იგი აღმოჩნდა რუსეთის ბატონობაში, რომელსაც, როგორც ყველა დამპყრობელს, არარად მიაჩნდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული პრობლემების მოგვარება და ხელშეწყობა. საჭირო იყო აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების აღდგენა, რაც უმეტესწილად განათლების სფეროს უნდა ეკისრა. ეს კი მისი მწყობრი სისტემის შექმნით გახდებოდა შესაძლებელი.

სახალხო განათლების სისტემა ეწოდება გარკვეული პრინციპების საფუძველზე აგებულ სასწავლო-სააღმრზდელო დაწესებულებათა იმ ქსელს, რომელიც მიმართულია ცალკეული ქვეყნის მიზანმიმართული სწავლებისა და აღზრდის განხორციელებისაკენ.

სიტყვა ,,სისტემაში“ იგულისხმება გარკვეული ელემენტების, მისი შემადგენელი ნაწილების არსებობა და მათ შორის ლოგიკური კავშირები.

სახალხო განათლების სისტემისათვის დამახსიათებელია მის ცალკეულ რგოლებს შორის კავშირი, რომლებიც განათლების სხვადასხვა დონეს იძლევა. გამოკვეთილია ორი ძირითადი პრინციპული მიდგომა ამ კავშირების უზრუნველსაყოფად: ,,ერთიანი სისტემა აგებული მემკვიდრეობითობაზე, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ერთი საფეხურიდან მეორეზე მის ბუნებრივ გადასვლას და დუალიზმი, ე.ი. სასწავლო დაწესებულებათა ორი, პარალელური სისტემის არსებობა, რომლის დროსაც არარის შესაძლებელი ერთი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებიდან მეორეზე გადასვლა“. აჭარაში არსებული ვითარება მხოლოდ დუალისტური პრინციპებით აგების წინაპირობას იძლეოდა.

უცხო ძალის მიერ აჭარისათვის თავსმოხვეულმა უცხო სარწმუნოებამ, ენამ და საგანმანათლებლო სისტემამ შეაფერხა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული განვითარება; დაირღვა ის კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც, ხალხის სრულყოფილი გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის აუცილებელი სწავლება და აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე, ხალხის სულიერი კულტურა ყალიბდებოდეს ეროვნულ ტრადიციებზე.

წინამდებარე ნაშრომის თემის აქტუალობის ერთი ასპექტიც არის იმის ჩვენება, რომ ნებისმიერი ფორმით განხორციელებული დაპყრობითი პოლიტიკა დამანგრეველი ძალისხმევით მოქმედებს დაპყრობილი ხალხის საგანმანათლებლო სისტემასა და ეროვნული კულტურის განვითარებაზე.

თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაშიც, რომ აჭარის სწორედ ამ პერიოდის ისტორიის თავისებურება განაპირობებს მასთან ორგანულად დაკავშირებულ სასკოლო განათლების სისტემის სპეციფიკურობას და იგი ლაიტმოტივად გასდევს აჭარის განათლების სფეროს 1918-1921 წლებში.

XIX საუკუნის 80-იან წლებში გახსნილ პირველ ქართულ სკოლებს, თურქულ მედრესესა და იმპერიული რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელ სასწავლო დაწესებულებებს უხდებოდა ბრძოლა უპირატესობის მოსაპოვებლად. ქართულმა სკოლამ ორი ათეული წლის განმავლობაში შეძლო აჭარის მოსახლეობაში ნდობის მოპოვება, რამაც განაპირობა აქაური მკვიდრი მოსახლეობის ნაციონალური შეგნების ჩამოყალიბება.

აჭარაში 1878-1917 წლების და არამარტო ამ წლების სასკოლო განათლების შესახებ დღემდე არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული. მათი ავტორები (გ. ბაბილოძე, გ. ნიორაძე, ა. გობრონიძე, ვ. წულუკიძე, ე. ცივაძე, ნ. გუგუნავა) კეთილსინდისიერად იკვლევდნენ ცალკეულ ასპექტებს, რითაც ხასიათდება განათლების სასკოლო მდგომარეობა აჭარაში.

გრ. ბაბილოძის ნაშრომი ,,ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან " (ბათუმი, 1975 წ.) გვიხატავს ოსმალთა სამასწლოვანი უღლისაგან გამოხსნილი და დედასამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის სასკოლო განათლების სისტემის საერთო მდგომარეობას. მკვლევარმა წამროაჩინა ,,ქართული საქველმოქმედო საზოგადოების" დიდი ღვაწლი აჭარის მოსახლეობის განათლებაში, რომელიც არა მხოლოდ განათლების, არამედ ცხოვრების სხვა სფეროებსაც შეეხებოდა. ავტორი ქართული პრესისა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით გვიჩვენებს საქველმოქმედო საზოგადოების საგანმანათლებლო მოღვაწეობის ეროვნულ ხასიათს და ცდილობს დაგვანახოს ამ საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლები როგორ უწყობდა ხელს აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას.

გ. ნიორაძის ნაშრომი ,,პირველი ქართული სკოლა ბათუმში" (თბილისი, 1958 წ.) გაშუქებულია ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ღვაწლი აჭარაში სასკოლო განათლების განვითარების სფეროში, განხილულია ბათუმში პირველი ქართული სკოლის დაარსების ძირითადი მიზეზები, აგრეთვე

მოცემულია ის სიძნელეები, რომლის პირობებშიც უხდებოდა სკოლას მოღვაწეობა ეროვნული მისიის შესასრულებლად.

მნიშვნელოვანია აჭარის განათლების ისტორიის მკვლევარის ვახტანგ წულუკიძის ნაშრომი ,,პირველი ქართული სკოლა აჭარაში“ (ბათუმი, 1982 წ.) ავტორი წიგნის შესავალ ნაწილში ხაზს უსვამს კონკრეტულად ბათუმის პირველი ქართული სკოლის გახსნის მნიშვნელობას, განსაზღვრავს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებული აჭარისათვის ამ სკოლის დიდ როლს და ფაქტობრივად გვაძლევს ბათუმის პირველი ქართული სკოლის ისტორიას მისი დაარსებიდან XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე.

მეტად საინტერესოა ასევე ნანი გუგუნავას ნაშრომი ,,მემედ აბაშიძე განმანათლებელი“, (ბათუმი, 1997 წ.). ნაშრომის ავტორმა მკაფიოდ წარმოაჩინა მემედ აბაშიძის პიროვნება, მისი მსოფლმხედველობა, საგანმანათლებლო იდეები და პედაგოგიკური მემკვიდრეობა, განსაზღვრა მისი როლი აჭარის სასკოლო განათლების განვითარების სფეროში. ნაშრომში გამოკვეთილია აჭარის განათლების განვითარების ისტორიის ძირითადი ეტაპები, რომელსაც ავტორი ორ ნაწილად ჰყოფს: 1) აჭარის განათლების ისტორია დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნებამდე: ა) აჭარაში განათლების ისტორია XVI საუკუნემდე; ბ) აჭარაში განათლების ისტორია თურქთა ბატონობის პერიოდში. 2) აჭარაში განათლების ისტორია დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნების შემდეგ. ქ-ნი ნანი აჭარის განათლების ისტორიის ასეთი პირობით არქიტექტონიკას ამავე კუთხის ისტორიის სპეციფიკურობით ხსნის, რაც გამართლებულად მიგვაჩნია. ნაშრომში მემედ აბაშიძის დამსახურებასთან ერთად, ზოგადად წარმოჩენილია აჭარის განათლების ისტორიის პრობლემატური საკითხები.

1918-1921 წლების აჭარისა და ზოგადად, მაშინდელი საქართველოს განათლების მდგომარეობას შესანიშნავად წარმოაჩენს გ. საყვარელიძე წიგნში „მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა“. წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტები, საარქივო მასალები კარგად ასახავს მაშინდელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოში, მათ შორის აჭარაშიც.

სამაგისტრო ნაშრომის თემაზე მუშაობისას ძირითადად გამოვიყენეთ შემდეგი კვლევის მეთოდები:

ა) ისტორიული და პედაგოგიკური ლიტერატურის შესწავლა;

ბ) საარქივო წყაროების დამუშავება;

გ) მონაცემთა შედარებითი ანალიზი.

ჩვენი ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს აღზრდისადმი სახელმწიფოებრივ-ეროვნული მიდგომის თვალსაზრისი, ანუ რამდენად უწყობს აღზრდა ხელს მამულიშვილის ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას; ეროვნული თვითშეგნებით აღზრდილია მამულიშვილი, ვისაც მტკიცედ სწამს, რომ საქართველოს შეუძლია ძლიერი მეზობლების გვერდით იცხოვროს და განვითარდეს დამოუკიდებლად, დაიცვას თავისი სუვერენული უფლებები და განავითაროს ეროვნული კულტურა.

ჩვენი ნაშრომის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს აჭარის განათლების ისტორიის მკვლევართა ნაშრომები, საარქივო მასალები, მოცემულ და შემდეგ წლებში გამოცემული ჟურნალ-გაზეთები.

ჩვენი კვლევის მიზანია 1878-1917 წლების აჭარაში სასკოლო განათლების განვითარების და ფორმირების ისტორიის შესწავლა. დასახული მიზნის მისაღწევად სამაგისტრო ნაშრომის ამოცანაა განვიხილოთ და წარმოვაჩინოთ შემდეგი საკითხები:

განათლების სისტემა აჭარაში 1878-1917, თურქული განათლების სისტემის ნარჩენების, რუსული იმპერიული სასკოლო სისტემის და ქართული ეროვნული სკოლის განვითარების სინქრონულ ვითარებაში.

– აჭარაში სასკოლო განათლების მდგომარეობა 1878-1917 წწ.

დასახული ამოცანის განხორციელებისათვის განისაზღვრა ნაშრომის სტრუქტურა, რომელიც შედგება შესავლის, ორი თავის, დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი I

აჭარის სოციალურ -პოლიტიკური, საგანმანათლებლო და კულტურული ვითარება დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ XIX-XXსაუკუნეებისმიჯნაზე

მიუხედავად იმისა, რომ აჭარა თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ჩამოშორებული იყო თავის დედასამშობლოს - საქართველოს, აჭარის იძულებით გამაჰმადიანებული მოსახლეობა სულითა და გულით ისწრაფოდა შეერთებოდა თავის ქრისტიან ძმებს. ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე, ოსმალეთის მიერ მიტაცებულ ქართულ პროვინციებში და მათ შორის აჭარაშიც გაჩაღებული იყო ანტითურქული აჯანყებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ოსმალეთის დამპყრობლური უღელის გადაგდებას, მაგრამ ამ ანტიოსმალურ გამოსვლებს არ გამოუღია სერიოზული შედეგი. ცარიზმის მიერ დაპყრობილ საქართველოს არ გააჩნდა ძალა ამ სანუკვარი მიზნის მიღწევისთვის და ჩვენდა სამწუხაროდ, ისტორიული სამართლიანობა გვაიძულებს აღვნიშნოთ ისიც, რომ მაშინდელ საქართველოშიც არსებობდა საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც გულგრილად უყურებდა მაჰმადიან ქართველებს და ვერ აცნობიერებდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების უდიდეს მნიშვნელობას. სერგეი მესხი გულისტკივილით წერდა ამის შესახებ: „დიდი ხანია მას აქეთ, რაც ჩვენ ყოველი კავშირი გავწყვიტეთ ოსმალოს საქართველოსთან. ახალს ქართულ ლიტერატურაში ორი სიტყვაც არ თქმულა იმათზედ! ისინი ჩვენ ძმებად გვთვლიან და ჩვენ კი მათ ოსმალოებად ვრაცხთ, არ ვცნობთ, არ გვინდა გავიცნოთ! ზნეობრივი და სხვა ყოველგვარი მოვალეობა და ანგარიში მოითხოვს, რომ ჩვენ ისე ძმურად ვუყურებდეთ იმათ, როგორც ისინი ჩვენ გვიყურებენ.

იმედია, არავინ არ ჩამოგვართმევს ურიგოდ და უადგილოდ „დროების“ რედაქციის ნატვრას, რომ მოისპოს ეს განკერძოება ჩვენსა და ოსმალოს ქართველებს შუა, რომ ძმებმა ერთმანეთი დაახლოებით გავიცნოთ.“ (მესხი, გაზ. „დროება“ 1878: #126) მიუხედავად ამისა, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობდა ოსმალთა უღელის ქვეშ მყოფ თანამოძმეებს და იმის მიუხედავად, რომ ცარიზმისადმი მტრულად იყო განწყობილი, რუსეთ-თურქეთის ომში მის მხარეზე იდგა. ომში ქართველი ხალხი ელოდა თურქ დამპყრობელთაგან ადრე მიტაცებული თავისი სამხრეთი მიწა-წყლის გათავისუფლებას.ამ ომს განმათავისუფლებელ ომად თვლიდა, რამაც განაპირობა ქართველი ხალხის აქტიური ჩართვა საბრძოლო ოპერაციებში. ომის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო მოხალისე მოლაშქრეთა (მილიციის) რაზმების ჩამოყალიბება. შედგენილი იქნა მოლაშქრე მილიციის 102 ასეული, რომელშიც 18.395 კაცი ითვლებოდა, ამათგან 63 ასეული ქვეითი იყო, ხოლო 39 ასეული ცხენოსანი. ამის გარდა, ქალაქებსა და ფრონტისპირა სოფლებში მოსახლეობის შეიარაღებული რაზმები ეწეოდნენ სამხედრო სამსახურს. სულ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს იარაღი აიღო ხელში 25 ათასმა ქართველმა მებრძოლმა.

1877-1878 წლების რუსეთთურქეთის ომის დროს გამარჯვება რუსეთის არმიას ხვდა წილად.

1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა რუსეთს გადაეცა. აჭარაში დამყარდა რუსული ადმინისტრაციული მმართველობა და კანონმდებლობა. იგი ადმინისტრაციულად დაექვემდებარა კავკასიის მეფისნაცვალს. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის გათავისუფლებას ოსმალთა ბატონობისგან რუსეთი არ განიხილავდა საქართველოს ეროვნული ინტერესების პრიზმაში, საქართველოსთვის მაინც ჰქონდა პოზიტიური მნიშვნელობა. შექმნილი ვითარება ქვეყნისა და ხალხის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო.

ამ მართლაც ისტორიულ ფაქტს დიდი მოწონებით შეხვდა ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. ილია ჭავჭავაძე აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების თაობაზე წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა, ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ფრიად ღირსსახსოვარია, ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცნი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის

უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოექცევიან ვის ხელთაც აწ იმათი ბედი, ჩვენთან იქნება კიდევ სამუდამოდ.“

მართალია, აჭარაში და ქართველებით დასახლებულ სხვა ახლად დაბრუნებულ რაიონებში სერიოზულ ანტიცარისტულ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, სულთნის აგენტებმა, რომელთა საქმიანობას გარკვეული მოსაზრებით ხელს არ უშლიდნენ რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეები, შეძლეს აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის იმის შთაგონება, რომ თითქოს რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი აჭარლები აღმოჩნდნენ უარეს ყოფაში, ვიდრე თურქთა ბატონობის დროს. ამით ისინი უბიძგებდნენ მათ მუჰაჯირობისაკენ - თურქეთის შორეულ და უკაცრიელ ადგილებში გადასახლებისაკენ.

მუჰაჯირობას ხელს უწყობდნენ ცარიზმის შოვინისტი მოხელეებიც. ცარიზმს აინტერესებდა აჭარის სუბტროპიკული მხარის გათავისუფლება ადგილობრივი მოსახლეობისგან და ამ ტერიტორიაზე რუსული კოლონიების შექმნა. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ 1883 წელს მუჰაჯირთა ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა, მაგრამ ცარიზმის მოხელეებმა მათ უკან დაბრუნების საშუალება არ მისცეს. „ამის მოწმე ყოფილა მწერალი გლებ უსპენსკი, რომელმაც მკაცრად ამხილა არსიპოვი და სხვა მოხელეები. აჭარლებს ექომაგებოდა აჭარის პირველი გაზეთის „ბატუმსკი ლისტოკის“ რედაქტორი კ. ვაჩნაძე, ამხელდა აჭარელთა მიწების გაყიდვას ვიღაცაების მიერ...“ (ბექირიშვილი,1997:30)

აჭარლების თურქეთში გადასახლებას განსაკუთრებითუწყობდნენ ხელს ხოჯები, თუმცა მათ შორის არსებობდნენ ისეთი პირებიც, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ასეთ აგიტაციას. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ ლომან ეფენდი ქარცივაძე და ნური ბერიძე, რომელთა მიერ ხალხში გაწეულმა მუშაობამ მნიშვნელოვანწილად შეამცირა მუჰაჯირთა რიცხვი.

რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულების თანახმად, მუჰაჯირები სამი წლის განმავლობაში (1879-1881 წწ) უნდა გადასახლებულიყვნენ ბათუმის ოლქიდან. მუჰაჯირად წასულთა ზუსტი რიცხვი არ არსებობს. სხვადასხვა რიცხვს ასახელებს გენერალი სტეპანოვი, ა. ფრენკელი, ზ.ჭიჭინაძე. დღესდღეობით დაახლოებით დადგენილია, რომ ბათუმის ოლქიდან მუჰაჯირად წასულა 10-15 ათასი კაცი

მუჰაჯირად წასული აჭარლები ტოვებდნენ თავიანთ მოძრავ-უძრავ ქონებას, რასაც ჩალის ფასად იძენდნენ აღა-ბეგები, სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსული ვაჭრები და ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეები.

მიჰაჯირები თურქეთში უმძიმეს პირობებში აღმოჩნდნენ, ბევრმა შეძლო უკან დაბრუნება, ბევრის სურვილს ხორცი ვერ შეესხა. ზაქარია ჭიჭინაძე იგონებს: „ერთ დედაკაცს გაეგო, რომ მე მივედი მათ სოფელში ქრისტიანი კაცი, გახარებოდა და ეთქვა, მადლობა ღმერთს, ამ დროსაც მოვესწარიო. ასე გამიგონია მამა-პაპიდან, რომ დრო მოვა და მოვლენ აქ ქართველები, ქრისტიანები და აბა ჩვენი სოფელი კარგად დაუხდეს, ისინიღა თუ ილოცავენ ჩვენთვის, თორემ ჩვენი მომავლის იმედი აღარა გვაქვსო“. (ჭიჭინაძე,1914:63)

ქართველი ინტელიგენცია თავგამოდებით იბრძოდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ. აჭარლების დასახმარებლად შეიქმნა სპეციალური საზოგადოება, რომელიც ახსნა-განმარტებას აწარმოებდა არა მარტო აჭარის მოსახლეობაში, არამედ რუსეთის ადმინისტრაციულ მოხელეებთანაც, რათა შეემცირებინა მუჰაჯირთა რიცხვი.

როგორც ცნობილია, 1878 წლის 20 სექტემბრიდა შეიქმნა ბათუმის ოლქი. იგი დაიყო სამ ადმინისტრაციულ ერთეულად: ბათუმის, ართვინის, აჭარის ოკრუგებად, რომლებშიც გაერთიანებული იყო: ბათუმის, კინტრიშის, გონიოს, ართვინის, არტანის, შავშეთ-იმერხევის, ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის უბნები.

ამ უბნების უფროსებად დაინიშნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. რუსეთის ხელისუფლებას ამ გზით სურდა ახალი წესწყობილება სწორედ იმ პირთა მეშვეობით განემტკიცებინა, ვინც კარგად იცნობდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ადათ-წესებსა და ხასიათს.

ოსმალთა ბატონობა შეიცვალა მეფის რუსეთის რეაქციული ბატონობით. დაიწყო რუსეთის თვითმპყორბელობის შემტევი ბრძოლა ძველი მიზნების პრაქტიკულად განხორციელებისთვის, რაც გამოიხატა ქართული მიწების მიტაცება-დასაკუთრებაში. მეფის მთავრობა ცდილობდა აჭარის სანაპირო ზოლიდან აეყარა აჭარლები და მათ ადგილზე რუსეთის გუბერნიებიდან გადმოესახლებინა ხალხი, რამაც წინა პლანზე წამოწია დემოგრაფიული კრიზისის საშიშროება.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში მსახურობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი. იგი თვითმხილველი იყო ყველაფერ იმისა, რაც

შავიზღვისპირეთში ხდებოდა: „- ვინ და საიდან არ ეტანებოდა აქაურობას, ვინ არ სახლობდა და რა ოცნებას არ ეძლეოდა აქაური ცხოვრების მოწყობის შემდეგ. მთავრობა ამ მოსახლეებს ხელს არ უშლიდა დასახლებაში. ეტყობოდა ეს მისთვის სასურველიც იყო - სასურველი, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები აეყარა და მათ ადგილას სხვა მოსახლეობა გაეჩინა.“ (კლდიაშვილი,1991:21)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში საგრძნობი გარდატეხა მოხდა. ფეოდალურ-ბატონყმური საქართველო მტკიცედ დაადგა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური განვითარების გზას.

აჭარაში 1878 წლამდე მრეწველობის არცერთი დარგი არ ყოფილა განვითარებული. კუსტარული საფეიქრო ნაწარმი შიდა მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოლებდა.

მხოლოდ 80-იანი წლებიდან, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ საფუძველი ეყრება მრეწველობის ჩასახვასა და განვითარებას, რასაც, პირველ რიგში, ხელი შეუწყო რკინიგზის მშენებლობამ და ნავსადგურის გაფართოებამ.

ბათუმი თურქეთის ბატონობიდან გამოხსნამდე ერთი შეუხედავი, ჭუჭყიანი და განუვუთარებელი „ქალაქი“ იყო. დროის მოკლე მონაკვეთში განვითარებულ სავაჭრო-სამრეწველო და კეთილმოწყობილ ქალაქად იქცა. გამშვენიერებულ ქალაქს ლაზათს მატებდა სწორი და განიერი ქუჩები, ელექტროსადგური, 120 საწოლიანი საავადმყოფოს, ვაჟთა გიმნაზიის 6 კლასიანი სასწავლების, ქალაქის მმართველობის, ლომბარდის, სახანძრო რაზმისა სხვა დაწესებულებათა შენობები.

ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო ზრდასთან ერთად მატულობდა ქალაქის მოსახლეობაც. თუ 1878 წელს ბათუმში სულ 3 ათასამდე კაცი ცხოვრობდა, 1903 წლისათვის ქალაქის მოსახლეობა 35 ათასამდე გაიზარდა.

აჭარაში მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარებამ, ნავსადგურის ამოქმედებამ და სარკინიგზო ქსელის გაფართოებამ, მტკიცე ძირი შექმნა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვისაც. დროთა განმავლობაში ირღვეოდა სოფლის სამეურნეო კარჩკეტილობა და გასაქანი ეძლეოდა ახალი დარგების განვითრებას.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისთანავე, საქართველოში ფართო მოძრაობა გაიშალა „ბედისგან მივიწყებულ ძმებთან“ გაცნობა-დაახლოება-შეთვისებისათვის და ეს, პირველ რიგში, ქართულ ენაზე სწავლა-განათლების გავრცელებაში უნდა გამოხატულიყო. ეს იქნებოდა მძლავრი სტიმული

ახლადგამოხსნილ ქართველ მუსლიმანთა ეროვნული გაცნობიერებისა და კულტურული პროგრესის საქმეში.

ისლამური სამყაროს რეაქციული წრის წარმომადგენლები კვლავაც ცდილობდნენ ისლამიზაციის პროცესის გაღრმავებას, მეფის რუსეთის ჩინოვნიკები კი გარუსებას და ასეთ კრიტიკულ მდგეომარეობაში მყოფი მთელი ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ერთ მუჭად ერთიანდება, რათა ძმური დაახმარების ხელი გაეწოდებინა აჭარისათვის. განუზომელია ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა ღვაწლი.

აჭარაში სკოლების გახსნის საქმეში განსაკუთრებით მეტად დიდი როლი ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ."

პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე წიგნში „ი. გოგებაშვილი და აჭარა" წერდა: „აჭარელი ბავშვებისათვის სკოლების გახსნა და ბავშვების სკოლაში მიზიდვა ყველას აინტერესებდა. ამ საქმეს ი. გოგებაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა. იგი აჭარაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით დადიოდა და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა. ი. გოგებაშვილს, როგორც განმანათლებელს, ერის წინსვლის მთავარ საშუალებად მიაჩნდა სკოლა, მრავალტანჯული აჭარის აყვავება-აღორძინებას იგი ქართული სკოლის გახსნა-დაარსებაში ხედავდა.

ილია ჭავჭავაძეც აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერების, თავიანთ ქრისტიან ძმებთან, ქართველებთან სულიერად შეკავშირების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად სასკოლო დაწესებულებების გახსნას მიიჩნევდა, რომ „ - ეს სკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულითა და გულით შემოგიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა."(გობრონიძე,1970:67)

პირველად ბათუმში 1881 წლის მარტში, სწორედ ამ საზოგადოებამ ქართველი მაჰმადიანებისთვის დაარსა პირველი ქართული სკოლა - ორკლასიანი სასწავლებელი. ეს სკოლა იყო ბათუმის კულტურული ძალების თავშესაფარი, სადაც ტარდებოდა ზეიმები; სკოლა ასრულებდა ბიბლიოთეკის, კლუბის, კულტურის

სახლის მოვალეობას. ამ სასწავლო დაწესებულებამ უდიდესი როლი შეასრულა აჭარლების ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აჭარაში პირველი ქართული სკოლის გახსნამდე, „1880 წელს ქალაქ ბათუმში მოქალაქე მიხაილოვმა დაარსა კერძო სკოლა რუსულ ენაზე სწავლებით, სადაც თვიური შესატანი 5 რუბლი იყო.“ ამ სკოლას თავიდანვე ეტყობოდა, რომ დიდი დღე არ ეწერა და მართლაც, რამდენიმე თვეში იგი დაიხურა.

იაკობ გოგებაშვილი რუსულენოვანი სკოლების უსარგებლობის შესახებ წერდა: „საქართველოში სახალხო სკოლები დიდი რაოდენობითაა, მაგრამ ისინი სრულად ცარიელია, არათუ განვითარებას, არც გონებრივს და არც ზნეობრივს არ იძლევიან, არამედ უბრალო წერა-კითხვასაც ვერ ავრცელებენ.“(გოგებაშვილი,1940:227) ხოლო ქართულ სკოლებში რუსული ენის ნაადრევი სწავლებისაგან გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესახებ ნაშრომში „როგორ უნდა მოეწყოს უკეთესად სასოფლო სკოლა“ წერდა: „ ნაადრევად სწავლება საგნებისა რუსულს ენაზედ, მეტისმეტად სჩაგრავს მათს გონებას და იმდენად ახშობს, რომ ხანგრძლივი კურსების დროსაც ვეღარ აუთვისებიათ რუსული ცნობიერად.“(გოგებაშვილი,1940:369)

სასკოლო განათლების განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა. მან შეძლო კიდეც საზოგადოების გულის მოგება, მაგრამ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა ცარიზმის მსახურთა შორის. სიძნელეების მიუხედავად, ლუკა ასათიანმა ადგილობრივი შემოსავლებიდან გამონახა სახსრები და პეტერბურგიდან მიიღო ნებართვა გიმნაზიის გახსნის შესახებ და მართლაც, 1897 წლის 14 სექტემბერს გაიხსნა ბათუმის ვაჟთა კლასიკური გიმნაზია ერთი მოსამზადებელი და ორი პირველი კლასით.

1897 წელს ქ. ბათუმის საბჭოს სხდომაზე ოფიციალურად განიხილეს ქალთა გიმნაზიის გახსნის საკითხიც. ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. თავის გასამართლებლად უსახსრობას იმიზეზებდნენ. ლუკა ასათიანმა აქაც თქვა თავისი სიტყვა, მან მოწინავე ინტელიგენციის მხარდაჭერით ადგილობრივ ბიუჯეტში გამონახა სახსრები და 1900 წლის 26 სექტემბერს 140 მოსწავლისთვის გახსნა ქალთა გიმნაზიაც.

აჭარაში ნებადართული იყო კერძო სასწავლებლების დაარსებაც. ბათუმში გაიხსნა პალიევას (1888წ), ლებედევას (1893წ), ჟელტუხინას(1902წ), მეფისოვას (1903წ) და

ბერაიას (1912წ) კერძო სასწავლებლები, მაგრამ ისინი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ ეროვნულობას და ბუნებრივია აჭარის მოსახლეობის ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ვერც შეასრულებდა. ამ სკოლებში მეცადინეობა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და სკოლადამთავრებულები ვერც საჭირო განათლებას ღებულობდნენ და ხელობასაც ვერ ეუფლებოდნენ.

მეფის რუსეთის ბატონობის პერიოდში სასკოლო განათლება ნელა იკაფავდა გზას, რადგან ცარიზმი სულაც არ ყოფილა დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობისთვის რეალური განათლება მიეცა. იგი არც აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისთვის ზრუნავდა. მაგრამ სასკოლო დაწესებულებათა რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა. განათლების სამინისტროს ნებართვით 1889 წლის 12 ივნისს ბათუმში გაიხსნა სამკლასიანი სასწავლებელი. 1887 წელს სკოლა-სომეხ გრიგორიანებისთვის, ხოლო 1890 წელს ბათუმელი ბერძნების სკოლის ასაშენებლად გამოიყო 400 საჟენი მიწა. ბერძნული სკოლა აშენდა იმავე წელს.

აჭარაში ქართული სკოლების გახსნა, უპირველესად, ქართული ენის შესწავლას, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებასა და ეროვნულ გათვითცნობიერებას ისახავდა მიზნად, მაგრამ პირველ ხანებში ეს ძნელად ხორციელდებოდა.

აჭარელ ბავშვთა უმრავლესობა არ იყო ჩართული სასწავლო პროცესში. სკოლაში ბავშვების მიბარება ბევრ მშობელს სურდა, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმის საწინააღმდეგოდ აშკარად გამოვიდნენ მუსლიმანური რელიგიის ფანატიკოსები; ისინი ხშირ შემთხვევაში ნახულობდნენ დასაყრდენს მოსწავლეების მშობლებში, რომლებსაც მათი უფრო სჯეროდათ, ვიდრე მათი ბედით დაინტერესებული ქართველი ინტელიგენციისა.

რუსეთის თვითმპყრობელობამ რამდენიმე სკოლა გახსნა აჭარაში, რომელთა უმრავლესობა პრაქტიკულად აქაური მოსახლეობისათვის გამოუსადეგარი იყო. სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების წარმართვა და აქ გაბატონებული პირობები აჭარელი ბავშვების არც ინტელექტუალურ განვითარებას ისახავდა მიზნად და არც მათ ეროვნულ გათვითცნობიერებას.

„ამ სკოლების შეგირდები პირველსავე წლებში ეჩვევიან მექანიკურ ზეპირობას რუსულად, გაუგებარ ენაზედ და ვეღარას გზით ვეღარ იშორებენ თავიდან ამ მავნებელს ჩვეულებას შემდეგ წლებშიაც, თუნდაც ბევრსაც ეცადნონ მასწავლებელნი.

მთელი ამათი ცოდნა რუსულისა ის არის მხოლოდ, ზოგს ზეპირად სწავლობენ, ჯეროვანი შეუგნებლობით, რუსულ პატარ-პატარა მოთხრობებსა და ლექსებს. ამიტომ ყოველსავე სკოლაში შექმნილს მალე ივიწყებენ ცხოვრებაში და თითქმის წერა-კითხვის ცოდნასაც კი ჰკარგავენ რუსულისასაც და ქართულისასაც."(გოგებაშვილი,1940:20)

1914 წლის პირველი მსოფლიო ომის დროს მრავალ ჭირგამოვლილ აჭარას დიდი უბედურება დაატყდა თავს. აჭარაში თურქები შემოიჭრნენ და ერთიანად ააოხრეს იგი. მოსახლეობის ნაწილი ძალით აჰყარეს და დედაბუდიანად გარეკეს ოსმალეთში, გარკვეულ ნაწილსაც ხელში იარაღი ააღებინეს და რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ აამხედრეს. ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რუსეთის შორეულ მხარეებში გადაასახლა, მიტოვებულ სოფლებში კი კაზაკები ჩააყენა.

მემედ აბაშიძე წერდა: „შემოგვესიენ (იგულისხმება თურქები - რ. ა.) და იწყეს დამღუპველი მაგალითი, იწყეს ხალხის დატყუილება, რომ ოსმალეთი თითქო ბათუმის ოლქში გზავნის მთელ კორპუსებს. ოღონდ თქვნ აიღეთ თარიღი, ოღონდ აყევით ჩვენს ხმას და მაშინვე ოსმალეთის კორპუსები აქ გაჩნდებიანო. ბევრი აიყოლიეს, ზოგი ძალდატანებით, ზოგი დატყუილებით. და თუ რა უბედურება მოგვაყენეს ამით, ეს ყველა ჩვენგანმა იცის. ცეცხლსა და მახვილს მისცეს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი იძულებული იყო აყრილიყო, მიეტოვებინა თავისი სახლ-კარი, წამოეკიდა ზურგზე თავისი ბარგი და საშინელ ზამთარში უცხოეთში გადახვეწილიყო. ბევრს გზაში ამოხდა სული, ბევრი გაწყდა სიცივისა და შიმშილისგან, ბევრი ვერ დაუბრუნდა თავის სახლ-კარს. (აბაშიძე, „სახალხო ფურცელი"1916: #9)

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ აჭარის მოსახლეობას დახმარების ხელი ისევ საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ გაუწოდა. მათი თაოსნობით მოქმედება განაახლა „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ.

საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება იყო ის ცენტრი, საიდანა ბათუმის ოლქის ქართველი მაჰმადიანებისთვის ვრცელდებოდა ნივთიერი, საექიმო, იურიდიული და მორალური დახმარება. იგი სისტემატურად ეხმარებოდა გაჭირვებული აჭარის მკვიდრ მოსახლეობასაც.

დარბეული და კულტურულად ჩამორჩენილი აჭარის აღორძინება, დედასამშობლოსთან მისი დაახლოება-შემომტკიცება, რისთვისაც მოწინავე ქართველი საზოგადოება ზრუნავდა, მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის გაჩაღებით იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ ინიციატივითა და გადაწყვეტილებით 1916 წელს აჭარაში გაიხსნა პირველდაწყებითი ქართული სკოლა: 1) ყოროლისთავში 4 მარტს (ორკომპლექტიანი); 2) ხუცუბანში 6 მარტს (სამკომპლექტიანი); 3) ალამბარში 7 მარტს (ორკოპლექტიანი); 4) ჩხუტუნეთში 10 მარტს (ერთკომპლექტიანი); 5) ქვედა აგარაში (ქედა) 15 მარტს (ერთკომპლექტიანი) 6)ზედა აგარაში (ხულო) 15 მარტს (ერთკომპლექტიანი).“(ბაბილოძე,1975 : 90)

ზემოთ დასახელებულ სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა, რასაც ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა ბათუმის ოლქის ადმინისტრაცია, პანთურქისტული ელემენტები, მუსლიმანი ფანატიკოსები. მიუხედავად ამისა, „ქართულ საქვემოქმედო საზოგადოების“ ძალისხმევით ქალაქის ადგილობრივი გამგეობის წრეებისა და მშრომელი მოსახლეობის მხარდაჭერით ეს სიძნელეები დაძლეულ იქნა და განათლების წინსვლის კვალობაზე ამაღლდა კულტურის საერთო დონე, რამაც დიდი წვლილი შეიტანა აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და კულტურული აღზრდის საქმეში.

აჭარის მოსახლეობის ეროვნულ და კულტურულ გათვითცნობიერებაში დიდი როლი შეასრულა თეატრალურმა წარმოდგენბმა. კერძოდ, 1879 წელს, ბათუმში ქეთევან ჟურულის ხელმძღვანელობით გაიმართა პირველი ქართული თეატრალური წარმოდგენა. 1882 წელს მისივე ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ბათუმში სცენის მოყვარეთა წრეც ჩამოყალიბდა, რომელიც შემდგომ დავით კლდიაშვილმა დრამატულ თეატრად გადააკეთა.

1912 წელს შალვა დადიანის ხელმძღვანელობით დაარსდა ქუთაის-ბათუმის მოძრავი თეატრალური დასი, ხოლო 1916 წელს შმაევსკიმ, ბათუმის ოლქის გუბერნატორის ნებართვით ახალი შენობა ააგო, სადაც იმართებოდა სპექტაკლები.

აჭარის მოსახლეობისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგამომცემლო საქმიანობის დაწყებას, საბიბლიოთეკო და სამედიცინო ქსელის ჩამოყალიბებას.

1879 წელს ალ. მახარაძეს დაუარსებია სტამბა.

მე-19 საუკუნის ბოლოს ბათუმში ჯერ კიდევ არ არსებობდა საქალაქო ბიბლიოთეკა. იგი გახსნილია 1900 წელს, მაგრამ წიგნადი ფონდი ძლიერ ცოტა ყოფილა.

1880 წელს დაარსდა სამედიცინო დაწესებულება ქსენონი. ქალაქში მანამდე არსებული სამედიცინო დაწესებულება ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს და თვითმმართველობამ ახალი თანამედროვე ტიპის საავადმყოფოს აშენების იდეაც წამოაყენა. ქალაქის თემა ლუკა ასათიანმა ყველა ზომა მიიღო საავადმყოფოს მშენებლობის დასაჩქარებლად და 1899 წლის 14 მარტს მართლაც ჩაეყარა საფუძველი მის მშენებლობას, რომელიც 1902 წლის 2 ოქტომბერს დასრულდა.

დაიწყო აღორძინების პროცესი აჭარის მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროში. ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობით გამოწვეული დიდი ბარიერები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გარკვეულად დაძლეულ იქნა.

აჭარის მოსახლეობა ნელ-ნელა იშუშებდა თურქთა მრავალწლიანი ბატონობისგან მიყენებულ ჭრილობებს, იგი აქტიურად ჩაება როგორც სამეურნეო, ასევე კულტურული ცხოვრების ფერხულში.

1918 წლის 26 მაისს საართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. აჭარის მოსახლეობის სახელით ჰაიდარ აბაშიძემ მიულოცა მთელ ქართველ ერს დიდი დღესასწაული: „ძვირფასო ძმანო, მე თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანი ხელითა და გულით გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღეს, მრავალტანჯულ საქართველოს თავისუფლებას ვუცქერ ამ აქტს და ჩემი სული განიცდის სიხარულს და სიტკბოებას, მაგრამ ამასთან ერთად ნაღვლით ივსება, როდესაც ამ ბედნიერ დღეს, სამაჰმადიანო საქართველო, თქვენი ღვიძლი ძმები თქვენთან ვერ არის. მე მამხნევებს ის, რომ მარტო არ ვარ და ჩემთან ერთად არის სამაჰმადიანო საქართველოს მიწა-წყალი, მისი სიამაყე ციხე-კოშკების ნანგრევები და მასთან ერთად მრავალი ქართველი მაჰმადიანი, რომელიც სულითა და გულით თქვენთან არის და იქნება კიდეც.“(გაზეთი „ერთობა“,1918: #107)

1918-1920 წლების აჭარის ისტორია მძაფრი ბატალიებით ხასიათდება .

ქართველი ხალხის ცხოვრებაში 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით, რითაც ქვეყანამ აღადგინა სუვერენიტეტი, შექმნა მრავალპარტიული პარლამენტი,

რომელიც ქართველი ერის ხსნის გარანტად ასოცირდებოდა მოსახლეობის ფართო მასებში.

აჭარის გეოგრაფიული მდებარეობა, ეკონომიკური სფეროს პერსპექტიულობა უდიდეს ბიძგს იძლეოდა, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოებს მოექციათ იგი მათი გავლენის არეალში. აჭარაში ისლამის გავრცელების მასშტაბებმა, ქართული იდეოლოგიის დაგვიანებით გატარებამ, აჭარის საქართველო ტერიტორიულ მთლიანობაში მოქცევადობამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას, რომელთ შორის მთავარი მაინც ერთიანი საზღვრების შენარჩუნება გახლდათ ტერიტორიული მთლიანობის კვლავ აღდგენის მიზნით.

ჯერ იყო და 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში გაფორმდა ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება ოტომანთა იპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის, რომლის მიხედვითაც, ჩოლოქიდან დაწყებული ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ჩათვლით, ოსმალეთის ხელში გადადიოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოტომანთა იმპერიამ მოახდინა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის სრული იგნორირება და ხელში ჩაიგდო აჭარაც.

ოსმალთა მოხეტიალე რაზმები უმოწყალოდ ანადგურებდნენ საცხოვრებელ სახლებს, იტაცებდნენ ქონებას, ავიწროებდნენ მოსახლეობას. ადგილობრივი ეროვნული საბჭოს ჩარევამაც კი ვერაფერი შედეგი გამოიღო. ოსმალებმა გაძარცვეს სასკოლო შენობები და ყაზარმებად აქციეს; დახურეს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლები. ოლქი მედრესეებით მოიფინა.

ოსმალთა შემოსვლამ ბათუმის ოლქში შეაფერხა კულტურული ცხოვრება. 1918 წლის აგვისტოში მათ მიერ გამოცემული ბრძანებით ქართულ, რუსულ, ბერძნულ, ებრაულ მოსახლეობას ნება ეძლეოდა გაეხსნა მხოლოდ თითო დაწყებითი სასწავლებელი, რომლებშიც თურქული ენის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა.

ოსმალთა „ავბედობის სუსხმა“ პრესასაც გაჰკრა. დაიხურა ყველა ადგილბრივი გამოცემა, ჟურნალ-გაზეთების თბილისიდან შემოტანაც პრობლემად გადაიქცა. გამოდიოდა მთავრობის ერთადერთი გაზეთი და ისიც რამდენიმე კვირაში ერთხელ. პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ეროვნულ თემაზე რაიმეს გამოქვეყნება.

ანტანტის ქვეყნების გამარჯვებამ ოტომანთა იმპერიის მთავრობა იძულებული გახადა უსიტყვოდ მიეღო გამარჯვებული ქვეყნების ულტიმატუმი და უარი ეთქვა ახალციხეზე, ახალქალაქსა და ბათუმის ოლქზე.

1918 წლის ნოემბერში აჭარაში ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმი დაემხო. თუმცა ამავე დროს აჭარაში არსებობდა პროთურქული ორიენტაციის აგენტურა, რომელიც არ აპირებდა პოზიციების დათმობას.

1919 წლის იანვრიდან აჭარაში საოკუპაციო რეჟიმის გამტარებლად ინგლისელები მოგვევლინენ.

აჭარის დელეგაციამ უოკერს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც ასახული იყო ბათუმის ოლქის სურვილი დედასამშობლოსთან შესაერთებლად. რუსეთის წარმომადგენლები თავიანთ პეტიციაში ითხოვდნენ, რომ ბათუმი მათ დაქვემდებარებაში გადასულიყო.

ინგლისის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლობამ ქალაქ ბათუმისა და ბათუმის ოლქის გუბერნატორად დანიშნა კუკ-კოლისი. ახალი ხელისუფლება შუდგა ანტიქართული და რეაქციული პოლიტიკის გატარებას.

კუკ-კოლისმა სახელმწიფო აპარატის თითქმის ყველა რგოლში რუსები დანიშნა. მმართველი აპარატის ასეთი დაკომპლექტება ბუნებრივი მოვლენა გახლდათ იმ თვალსაზრისით, რომ ინგლისის მმართველი წრეები აჭარას მიიჩნევდნენ არა ერთიანი საქართველოს ნაწილად, არამედ რუსეთის მნიშვნელოვან, სამხრეთის გეოპოლიტიკურ ტერიტორიად.

ინგლისელებს უაღრესად გამოკვეთილი პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდათ რუსეთში დენიკინის თეთრგვარდიელ დაჯგუფებებთან. დენიკინელები ჩაიგდებდნენ ხელში და ბათუმის სახით მათ მტკიცე პლაცდარმი შეექმნებოდათ კავკასიაში.

ბათუმის ოლქში ხდებოდა მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება. გამოყოფილი კრედიტები უნდა მოხმარებოდა როგორც პერიოდული გამოცემების დაფინანსებას, ასევე ანტიქართულ პროპაგანდისტულ საქმიანობას. ყოვწლივე ეს აჭარის მოსახლეობის გარუსებას ისახავდა მიზნად და იმის საფუძველს ქმნიდა, რომ აჭარა უშუალოდ შესულიყო რუსეთის დაქვემდებარებაში. მსგავსი პროცესები მიმდინარეობს ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებულ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში.

ანალოგიური აგიტაცის, ოღონდ თურქეთის სასარგებლოდ, ტარდებოდა აჭარის მოსახლეობაში ოსმალეთის აგენტების მიერ.

როცა ინგლისის ხელისუფლება დარწმუნდა, რომ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის არანაირი პერსპექტივა არ ჩანდა, „წმინდა სამხედრო მიზნით“, 1919 წლის დეკემბერში ლონდონის მთავრობაში დაისვა საკითხი ბათუმის ოლქიდან ინგლისის სამხედრო ნაწილების გაყვანის თაობაზე,თუმცა ფორმალურად, შემდეგ პერიოდში დიდი ბრიტანეთი თავგამოდებით იბრძოდა ბათუმის ოლქში შეენარჩუნებია თავისი პოზიციები.

ამ გარემოებამ, რომ ვითომდა ინგლისი იწყებდა ჯარის ევაკუაციას, ბათუმის პოლიტიკური ორგანიზაციების საგრძნობი გამოცოცხლება გამოიწვია.

1919 წლის 31 აგვისტოს სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ინიციატივით შედგა ბათუმის ოლქის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელმაც აირჩია არაოფიციალური სახელმწიფო ორგანო - მეჯლისი. დეპუტატებმა გამოხატეს აჭარის მთელი მოსახლეობის აზრი და დაადგინეს აჭარის დაუყოვნებლივი შეერთება საქართველოსთან, ავტონომიური მართვის უფლებით.

ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მისწრაფებებს - აჭარის დედასამშობლოსთან შეერთების თაობაზე უგულებელყოფდა ინგლისელთა მმართველი კასტა. არ ცხრებოდა რუსეთისა და თურქეთის აგენტურაც, რომელთა სამოქმედო პრინციპი ბათუმის ოლქში დეზინფორმაციის გავრცელება იყო. იხარჯებოდა დიდი რაოდენობით ფული, რათა საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციისათვის ემუშავა აგენტურულ ქსელს. ისინი აჭარის მოსახლეობის ფართო მასებში ავრცელებდნენ აზრს, რომ საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში შესვლა გამოიწვევდა მათ გაქრისტიანებას, სარწმუნოებრივი და პიროვნული უფლებების შელახვას. ამ მავნე იდეოლოგიის გავრცელებაში რუსეთისა და თურქეთის აგენტურასთან ერთად აქტიურობდა აჭარაში ინგლისის ჯარის გენერალი კუკ-კოლისი.

ამ უკანასკნელის მიერ ბათუმის ოლქში გატარებული რეაქციული პოლიტიკის მიუხედავად, სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო კომიტეტმა მაინც შეძლო ბევრ სკოლაში განეახლებინა შეწყვეტილი მეცადინეობა და გაეხსნა რამდენიმე დაწყებითი სკოლა.

ბათუმის ოლქში პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვის ფონზე შეიქმა ოლქის ბოლშევიკებისა და ოსმალების მხრიდან ხელში ჩაგდების მცდელობის რეალური საშიშროება, რის გამოც საქართველოს მთავრობამ მოვლენების არასახარბიელოდ განვითარების ნეიტრალიზებისთვის ინგლისელთა წინაშე დასვა საკითხი ბათუმის ოლქში საქართველოს ჯარების შეყვანის შესახებ. 1920 წლის თებერვლის ბოლოს დაიწყო ქართული ჯარის კონცენტრაცია ოლქის ადმინისტრაციულ საზღვრებთან. შესაბამისად, ყველა სახელმწიფოდიპლომატიურ წარმომადგენელს ეუწყა ბათუმის ოლქში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ბათუმის ოლქში ქართული სა,ხედრო შენაერთების მოსალოდნელი შესვლის მიუხედავად, ანტიქართული მუშაობა არა თუ შენელდა, არამედ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. დაძაბულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ინგლისელი გენერალ–გუბერნატორის პასიური, ხშირ შემთხვევაში, აშკარა მხარდამჭერი პოზიცია საქართველოს მოწინააღმდეგე ძალების მიმართ. გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა: „ცხოვრება თანდათან უარესდება, მავნე ელემენტები თავისუფლად თარეშობენ, რომლებიც ხალხს „პოგრომის“ მოსახდენად მოუწოდებდნენ. ოლქი დევნილებით არის სავსე.“ (გაზ „ერთობა,“1920 :178) ბათუმის ოლქის დედასამშობლოსთან მიერთებას უნდა მოჰყოლოდა როგორც მხარის ადმინისტრაციული, ასევე სამეურნეო მოწყობის ღონისძიებანი, რომელსაც უნდა შეექმნა მტკიცე ბაზა ბათუმის შემდგომი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული აღორძინებისათვის. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ამ ღონისძიებების ორ ეტაპად განხორციელებას ვარაუდობდა.პირველ ეტაპზე – გარდამავალ პერიოდში მთავრობას უნდა შეემზადებინა ნიადაგი ბათუმის ოლქში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის და ადგილობრივი მმართველობის სადავეები უნდა გადაეცა არჩევითი ორგანისთვის. მეორე ეტაპზე, უნდა განხორციელებულიყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ჩამოყალიბება, რომელიც შეუდგებოდა რეფორმების გატარებას.

1920 წლის 7 მაისს რუსეთ– საქართველოს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია ბათუმის ოლქის საკითხის მოგვარებაზე. ინგლისის ხელისუფლება, რომელიც ოკუპაციის ფორმით წელიწადნახევრის განმავლობაში ფლობდა არსებულ ტერიტორიას, საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე,

იძულებული იყო მოკავშირე სახელმწიფოებთან შეთანხმებით ეცნო საქართველოს ტერიტორიული უფლებები ბათუმის ოლქზე.

1920 წლის 1 ივლისიდან დაიწყო ქართული სამხედრო ნაწილების შესვლა აჭარაში, იმავე დღეს ქობულეთში გაიმართა მიტინგი,რომელიც სამხედრო ნაწილების აღლუმით დამთავრდა. 4 ივლისს ქალაქ ბათუმის გარეუბანში, ბარცხანის დასაახლებაში ეროვნული გვარდიის ნაწილებს შეხვდნენ დამფუძნებელი კრების და მეჯლისის წევრები, ქალაქის ინტელიგენცია.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ბრძოლა აჭარის დედასამშობლოსთან დასასბრუნებლად წარმატებით დამთავრდა, რითაც საქართველომ, ქართველმა ერმა გარკვეულწილად მოიშუშა „ჟამთა სიავით“ მიყენებული ჭრილობები.

ბათუმის ოლქში საქართველოს იურისდიქციის აღდგენისთანავე ჩამოყალიბდა საგანგებო მმართველობა, რომელსაც უნდა მოეხდინა ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობის ნეიტრალიზება. ჯერ კიდევ არსებობდა ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების საშიშროება. საქართველოს მთავრობის განკარგულებით საგანგებო კომისრად დაინიშნა ბენიამინ ჩხიკვიშვილი.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზული შეცდომები დაუშვა ოლქის მართვა–გამგეობაში, ზოგიერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნენ უავტორიტეტო, საეჭვო წარსულის მქონე მოხელეები, რომელთა მიერ გატარებულმა უგუნურმა პოლიტიკამ სერიოზული საფუძველი მისცა ანტიქართულ ძალებს ანტიქართული პროპაგანდისთვის.

აჭარაში სასკოლო განათლების სისტემა კვლავ რჩებოდა შერეული ხასიათის. აქ მცირერიცხოვანი ქართული სკოლების გვერდით არსებას აგრძელებდნენ: რუსული, ბერძნული, სომხური, ებრაული სკოლები, მაჰმადიანური განათლების კერები, რომლებიც ეწეოდნენ ანტიქართულ აგიტაციას. საქართველოს ამ რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა არ იყო საკმარისი ფაქტორი იმისათვის, რომ ანტიეროვნულ ძალებს მოეხდინათ მათი ვერაგული მიზნების განხორციელება. ისინი ხელს უშლიდნენ ქართულ სკოლებში მოსწავლეების მიზიდვას, აჭარის მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას.

აჭარაში არსებული მცირერიცხოვანი ქართული სკოლები ვერ აკმაყოფილებდა აჭარის მოსახლეობის მოთხოვნებს. საჭირო იყო ახალი სასწავლო დაწესებულებების, სამკითხველოების, ბიბლიოთეკების დაარსება, მაჰმადიან ქართველებში ტექნიკური ცოდნის ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობა. განათლების სფეროში არსებული პრობლემები მოკლე დროში ვერ გადაიჭრებოდა, მაგრამ აჭარის მოსახლეობას აშკარად უნდა დაენახა ის მზრუნველობა, რასაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა იჩენდა ამ რეგიონის მოსახლეობისთვის.

მართალია, ბენიამინ ჩხიკვიშვილის ხელმძღვანელობით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ბათუმის ოლქში სტაბილურობის დამყარების მიზნით, მაგრამ იგი მაინც არასაკმარისი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ არსებობდა აუარებელი პრობლემა ოლქის ცხოვრების თითქმის ყველა, მათ შორის განათლების სფეროშიც. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „სამართალი ისეთი უნდა არსებობდეს, როგორსაც მიეჩვია ხალხი. ყადის თანამდებობა არჩევითი უნდა იყოს. სექტემბრიდან უნდა დავიწყოთ სასკოლო აღმშენებლობა.“(გაზ „ერთობა,“1920 : 179)

ბათუმის ოლქში შექმნილი მწვავე პოლიტიკური სიტუაცია საქართველოს მტრების სასარგებლოდ მუშაობდა. ოლქის მმართველობის არასწორი პოლიტიკის გამო ანტიქართული ძალები მოსახლეობაში ბათუმის ოლქის კვლავ დედასამშობლოსაგან ჩამოცილების აგიტაციას ეწეოდნენ.

სერიოზული უთანხმოება არსებობდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის წევრებს შორისაც. აქაც მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებსაც რეაქციულ ძალებთან – სედაი მილეთელებთან ჰქონდათ კავშირი.

საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა დაკავებული თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა ბ. ჩხიკვიშვილი და ამ თანამდებობაზე დაენიშნა გრიგოლ გიორგაძე.

ახალი საგანგებო კომისარი გ. გიორგაძე ენერგიულად შეუდგა მუშაობას. 20 ნოემბერს მან მოიწვია თათბირი, რომელსაც მეჯლისის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. თათბირზე ბევრი საჭირბოროტო საკითხი განიხილეს. რაიონის კომისრებს სასწრაფოდ უუნდა გამოერკვიათ ადგილზე არსებული პრობლემები და განსაკუთრებით ყურადღება მიექციათ კულტურისა და განათლების საქმის

განვითარებისათვის. სასამართლო წარმოებაში უნდა დაეტოვებინათ შარიათი, სასამართლოს ძველი შემადგენლობა – ყადი და ორი წევრი.

ბათუმის ოლქში გ. გიორგაძის თაოსნობით გატარებულმა ღონისძიებებმა შედარებით გამოაცოცხლა როგორც ეკონომიკური, ასევე საგანმანათლებლო, კულტურული ცხოვრება. გაზეთი „ბათუმის ფურცელი“ აქვეყნებს ინფორმაციას ქალაქ ბათუმში არსებული სკოლების შესახებ: „ქალაქს აქვს ამჟამად შემდეგი პირველი დაწყებითი სკოლები: ბერძნებისათვის, სომხებისათვის, ებრაელებისათვის, რუსებისათვის, ქართველი მაჰმადიანებისათვის და მართლმადიდებელი ქართველებისათვის. ქალაქის სკოლებს დიდძალი მოსწავლე მოაწყდა.“ (გაზ.„ბათუმის ფურცელი“, 1920: #30)

გაზეთ „ბათუმის ფურცლის“ ინფორმაცია უტყუარი იყო. ბათუმის ოლქის მოსახლეობამ სწრაფად გააცნობიერა ქართული სკოლების უდიდესი მნიშვნელობა მათი საყოველთაო ბურუსიდან თავდასაღწევად. განათლების სფეროში შეინიშნებოდა საგრძნობი წინსვლა. მაგრამ მალე საქართველოს დამოუკიდებლობის სერიოზული საფრთხე დაემუქრა ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან და ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მოსალოდნელი საფრთხე რეალობად იქცა. საქართველომ დიდხანს ვერ შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა. 1921 წლის 11 თებერვალს რუსეთის წითელი არმიის ნაწილები შემოიჭრნენ საქართველოში. საქართველოს მთავრობამ დაგვიანებით მიიღო ზომები ქვეყნის დასაცავად. მიუხედავად ქართული სამხედრო ნაწილების გარკვეული წარმატებებისა, ომის სასწორი წითელი არმიის სასარგებლოდ გადაიხარა, რაშიც გარკვეული როლი ითამაშა ქემალისტურმა თურქეთმა.

1921 წლის 25 თბერვალს წითელი არმიის ნაწილები თბილისში უბრძოლველად შევიდნენ. თბილისის დატოვების შემდეგ საომარი ოპერაციები რამდენიმე დღეს გაგრძელდა, თუმცა არსებითი გარდათეხა ფრონტის ხაზზე არ მომხდარა. 1921 წლის 17 მარტს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ წითელ ტერორს ბათუმიდან საზღვარგარეთ გაასწრო, ხოლო ქვეყანა ღვთისანაბარა დარჩა. არსებულ მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ თურქეთმა 1921 წლის 26 მარტს ბათუმის ანექსია მოახდინა.

შეიქმნა საშიშროება არა მხოლოდ ბათუმი, არამედ მთელი აჭარა არ ჩავარდნოდა ხელში თურქებს. ქართულ სამხედრო ნაწილებს სათავეში ჩაუდგა გენერალი გიორგი

მაზნიაშვილი. თურქებთან საომარი მოქმედებები (1921 წლის 18–19 მარტის) ქართველთა სასარგებლოდ დასრულდა. გადამწყვეტი საომარი ოპერაცია 20 მარტს უნდა განხორციელებულიყო: „ეს ოპერაცია უნდა მომეხდინა 20 მარტს, მაგრამ დილის 6 საათზე ჩემთან გამოცხადდა ქაზიმ–ბეის მდივანი და მისი სახელით გადმომცა, რომ ქაზიმ ბეიმ გადაწყვიტა დასცალოს ქალაქი და გადავიდეს თავის საზღვრებზე ჭოროხის იქით.“(მაზნიაშვილი,1990:73)

მართლაც, ქაზიმ–ბეი იძულებული გახდა პოზიციები დაეთმო. ქართველებმა თურქები ჭოროხს გაღმა გადარეკეს „და ვაი, რომ მხოლოდ ჭოროხს გაღმა გათავისუფლდა აჭარა ბათუმიანად, აღსრულდა წინაპართა წმინდა ანდერძი – გურჯისტანი ოსმალოს არ შერჩება, მაგრამ იყო აღსრულებული იგი ამჯერად მხოლოდ სანახევროდ... (დავითაძე,1992:38)

საქართველოს შემადგენელი აჭარაც ბოლშევიკების ხელში გადავიდა შემდეგში მთელი ქართველი ერის წინაშე უმწვავეს გადასაჭრელ პრობლემად საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის აღდგენა იქცა.

ამრიგად, აჭარაში იმპერიული რუსეთის დამკვიდრებამ, ანტიქართული პოლიტიკის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ კუთხის სოციალურ–ეკონომიკურ, კულტურული ვითარების გასაუმჯობესებლად, რამაც ნოყიერი ნიადაგი შექმნა სხვადასხვა ტიპის სასკოლო დაწესებულებების გასახსნელად. აჭარაში გახსნილმა ქართულმა სასკოლო დაწესებულებებმა დროის მოკლე მონაკეთში ცარისტული და მაჰმადიანური სასკოლო დაწესებულებების გვერდით მოიპოვა სერიოზული ნდობა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აჭარის მოსახლეობაში ელემენტარული განათლების შეტანის, კულტურის დაწინაურების და ეროვნული ცნობიერების საქმეში.

თავი II

სასკოლო განათლება აჭარაში(ბათუმის ოლქში) 1918-1921წწ

1918 წლის 26 მაისს თურქეთმა ამიერკავკასიის ფედერაციულ მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი, 72 საათის განმავლობაში გადაეწყვიტა ახალი საზღვრების, საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების გატარებისა და სამხრეთ კავკასიაში რეფერენდუმის თაობაზე თანხმობის საკითხი. მთავრობა და ამიერკავკასიის სეიმი გადაულახავი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. სეიმში შემავალი პარტიების მსოფლმხედველობა, საგარეო პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდა. 26 მაისის დილის სხდომაზე გაირკვა, რომ სეიმის დაშლა გარდაუვალი იყო.

ამიერკავკასიის სეიმის დაშლის დღესვე, 5 საათზე მთავრობის სასახლის დარბაზში, საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1918 წლის 26 მაისი უმნიშვნელოვანესი თარიღია საქართველოს ისტორიაში. სწორედ ამ დღეს ქართველმა ერმა ხორცი შეასხა საუკუნოვან ოცნებას - აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, სინამდვილედ იქცა ის იდეალები, რაც 117 წლის მანძილზე სულს უფორიაქებდა საქართველოს საუკეთესო შვილებს, მკვეთრად განსაზღვრავდა მათ ცხოვრება-მოღვაწეობის გზას.

საქართველოს დემოკრატიუილი რესპუბლიკის განათლების სამინისტრო 1918 წლის 26 მაისს შეუდგა მუშობას. დაწესდა მინისტრის და მინისტრის ამხანაგის თანამდებობები (მინისტრი - ნოე რამიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ალ. მდივანი, ნოე ცინცაძე).

1919 წლის 1 ოქტომბერს, რუსულ ენაზე შედგენილ ანგარიშში, რომელიც საქართველოს რესპუბლიკაში სახალხო განათლების მდგომარეობას გვამცნობს, იმით იწყება, რომ თბილისში კავკასიის სასწავლო ოლქის გაუქმებას მოყვა სრულიად ახალი სისტემის შექმნა, რომლის შემადგენელი თითოეული რგოლი გაცილებით მარტივია უკეთ შეეფერება საქართველოს სახელმწიფოს, როგორც კულტურულ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს.

შეიქმნა განათლების სამინისტროს აპარატი, რომელიც შედგებოდა „სამი განყოფილებისაგან: ერთი გა ნაგებს რესპუბლიკის უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს, მეორეს ექვემდებარება დაწყებითი სახალხო სკოლები და მესამე მოწოდებულია აამაღლოს რესპუბლიკაში პროფესიული ტექნიკური განათლება, რომელიც მანამდე სათანადო სიმაღლეზე არ იდგა მთელს კავკასიაში“. (საყვარელიძე,1990:22)

საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში გაბატონებული იყო აზრი, რომ ეს პერიოდი (იგულისხმება დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დროინდელი ხანა) კულტურის დაცემის პერიოდი იყო. თუმცა პროფ. გიორგი საყვარელიძის ნაშრომში „მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა (1918-1921წწ)“. დამოწმებული ისტორიული ფაქტები და მოვლენები საწინააღმდეგოს მეტყველებს.

ქართული კულტურის ისტორიაში სწორედ წლები ხასიათდება დიდი აღმავლობით, ეროვნული ენერგიის მოზღვავებით, რუსიფიკატორული ტენდენციების უკუგდებითა და ნაციონალური საწყისების ცხოვრებაში გატარებით. პროგრესულმა ეროვნულმა ტენდენციებმა სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების აღორძინება გამოიწვია.

საყოველთაო ნაციონალიზაცია იმდროინდელი კულტურული მშენებლობის უმთავრესი ლოზუნგი იყო. იგი, უპირველესად, გულისხმობდა ქართული ენის სახელმწიფო ენად გადაქცევას, რომელსაც შეუზღუდავი უფლებები ექნებოდა მწერლობაში, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებში. დაჩქარდა ქართული კულტურის ევროპეიზაციის პროცესი. ერთ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ეს პროგრესული ტენდენცია რუსეთს ეპყრა ხელთ, ახლა კი საქართველოს თავად მიეცა საშუალება უშუამავლოდ გასულიყო ევროპული ცივილიაციის გზაზე.

დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ კარდინალური ძვრები მოახდინა სკოლების გაეროვნულების თვალსაზრისით. ფართო ასპარეზი დაუთმო მშობლიურ ენას; დაიწყო თვისობრივი გარდაქმნები განათლების სფეროში. მართალია, პირველ ხანებში მეტად მცირე იყო მშობლიურ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოების რაოდენობა, საკმარისი არ იყო მასწავლებელთა კადრები, მაგრამგანათლების უწყება ქმედით ღონისძიებებს ახორციელებდა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. გაიზარდა

სკოლების რაოდენობა, მარტო დამოუკიდებლობის პირველ წელს 166 ახალი დაწყებითი სკოლა გაიხსნა, თუ „1914 წლის მონაცემებით საქართველოში აღრიცხული იყო 64 სკოლა 80234 მოწაფისთვის, 1920 წლისათვის სკოლების რიცხვი 1924-მდე, ხოლომოსწავლეთა რაოდენობა 162,030-მდე გაიზარდა. ცნობილი მეცნიერების და პედაგოგების მონაწილეობით შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმები. დაიწყო სახელმძღვანელოების შედგენა მშობლიურ ენაზე.“(საყვარელიძე,1999:233)

დაიწყო ქართული ტერმინოლოგიის დამუშავება. ყველა სასწავლო დისციპლინაში ქათული პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენა, სწავლა-განათლების დანერგვა მოსახლეობაში, სკოლების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნივთიერი პირობების გაუმჯობესება, არაქართველთა სწავლების საკითხების მოგვარება, ისეთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყობა და მუშაობის გამართვა, როგორიცაა: სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მუზეუმი, ობსერვატორია, სამეცნიერო არქივი, ბიბლიოთეკები, სამკითხველო გამომცემლობები, ქართველი სტუდენტების საზღვარგარეთ მივლინება, პროფტექნიკური, საზღვაო, სახელოსნო და სხვა ტიპის სასწავლებელთა გახსნა.

საქმის წარმოება სამინისტროში და ყოველგვარი მიწერ-მოწერა დაწესებულებებთან სრულდებოდა ქართულ ენაზე. სკოლების ახალი ტიპის დასადგენად, მათთვის პროგრამების შესადგენად სამინისტრომ შექმნა ორი კომისია, რომელთაც დაევალათ, შემდეგი სასწავლო წლის დაწყებამდე მოემზადებინათ ყველა საჭირო მასალა სკოლების ეროვნულ საფუძვლებზე მოსაწყობად. ამ პერიოდშივე დაიგეგმა სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების განხორციელებაც.
საქართველოს განათლების სამინისტრომ სკოლების გაეროვნულების პროცესის დასაჩქარებლად საშუალო და დაბალი კლასების მასწავლებელთათვის მოაწყო საზაფხულო კურსები. კურსებთან დაარსდა სატერმინოლოგიო სექციები.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობა მოქმედებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში გამოხატული ზოგადსაკაცობრიო პრინციპებით: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლტიკურ უფლებებს,

განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.“(საყვარელიძე, 1990:9)

აქედან გამომდინარე, განათლების სამინისტროს საგანგებო ზრუნვის საგანი იყო სკოლები ეროვნული უმცირესობებიისთვის. ამ მიზნით გადაიდგა სერიოზული ნაბიჯებიც: შეიქმნა „სპეციალური კლასები აფხაზებისთვის, ხოლო ოსებისათვის გამოიყო უმაღლესი დაწყებითი სკოლა ჯავაში. გადაწყდა პედაგოგიური კურსების მოწყობა მაჰმადიანთა სკოლების მასწავლებლებისათვის.“ (საყვარელიძე, 1990:10)
საქართველოს განათლების სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც მასწავლებელთა მატერიალური მდგომარობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად, რაც ავტომატურად აისახებოდა სწავლა-განათლების დონეზე. მაშინდელმა საქართველოს პარლამენტმა მას კანონის ძალა და „დაბალ სკოლათა მასწავლებელს თვიური ხელფასი 210 მანეთის ნაცლად დაენიშნა 400 მანეთის რაოდენობით. მაგრამ ვინაიდან არც ეს ჯილდო უზრუნველყოფდა მასწავლებელს, სამინისტრომ დამატებით შეიმუშავა და მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი სახალხო მასწავლებელთათვის სამწლიან დამატებათა დანიშვნის შესახებ (8 სამწლიანი დამატება).“(საყვარელიძე,1990:11)

მართალია, სკოლების მშენებლობასა და ტექნიკური აღჭურვისათვის საჭირო სახსრები ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი, მაგრამ არსებული სიძნელეების გადალახვა ხორციელდებოდა პატრიოტ მასწავლებელთა უჩვეულო ენთუზიამით; მიუხედავად მათი მძიმე მატერიალური პირობებისა, ისინი დაკისრებულ მოვალეობას დიდი პასუხისმგებლობითა და მონდომებით ასრულებდნენ.

რაც მთავარია, სკოლების უმრავლესობა სახელმწიფო სკოლებად გადაკეთდა. სკოლა პრაქტიკულად გამოეყო ეკლესიას და პოლიტიკური პარტიების გავლენისგანაც დააღწია თავი. შემუშავდა საყოველთაო, უფასო და სავალდებულო დაწყებითი განათლების პროექტი, რომელიც კონსტიტუციაშიც აისახა.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, საქართველოში შმოღებული იქნა ერობა, სადაც მოწყობილი იყო საერობო აპარატი.

1918-1919 წელს შეიქმნა სამაზრო საერობო დაწესებულებები, ზოგიერთ მაზრაში კი სათემო ერობის ორგანოებიც კი ჩამოყალიბდა, რომელმაც შეითავსა ადგილობრივი მართვა-გამგეობის თითქმის ყველა ფუნქცია. ფაქტიურად, საყოველთაო სასკოლო

განათლებას ხელმძღვანელობდა მთავრობა და ახორციელებდა ერობათა საშუალებით, რასაც ადასტურებს საარქივო მასალებიც. 1919 წლის 30 აპრილს სამინისტრო სამაზრო ერობებს სწერდა: „სახალხო განათლების სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს მომავალი ენკენისთვიდან შეუდგეს საყოველთაო სწავლების შემოღების განხორციელებას. ამისათვის საჭიროა შემდეგი ცნობები: 1. რამდენი და რა ტიპის სკოლებიათქვენს მაზრაში, 2. რომელ პუნქტში უნდა გაიხსნას პირველ რიგში სახალხო სკოლა. გასახსნელ სკოლათა რიცხვი თვითეული მაზრისათვის მცირეა. პირველ წელს გაიხსნება დაახლოებით 7-10 კლასი“.(საქ.ცსა, საქმე36:148)

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოებაც, განათლების სამინისტრო ძირითადში ითვალისწინებდა იმ სტატისტიკურმონაცემებს, რომლითაც იქმნებოდა ნათელი სურათი იმის შესახებ, თუ რომელ გუბერნიაში რამდენ ათასეულ მცხოვრებზე მოდიოდა სკოლა და ამის მიხედვით ცდილობდა სასკოლო ქსელის გაფართოებას. იმ დროისათვის თბილისის გუბერნია საგრძნობლად ჩამორჩებოდა სწავლა–განათლების მხრივ ქუთაისის გუბერნიას. ამას ადასტურებს შემდეგი სტატისტიკური მონაცემებიც: „1916 წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში ერთ მილიონ მცხოვრებზე მოდიოდა 900 სახალხო სკოლა, ანუ ერთი სკოლა დაახლოებით 1100 მცხოვრებზე. ამავე დროს თბილისის გუბერნიაში 600000 მცხოვრებს ქონდა 240 ქართული სკოლა, ანუ ერთი სკოლა 2500 მცხოვრებზე. უმაღლესი დაწყებითი სკოლა ქუთაისის გუბერნიაში იყო 70, ანუ ერთი – ყოველ 14280 მცხოვრებზე. თბილისის გუბერნიაში კი არსებობდა 6 ასეთი სკოლა, ესეიგი 100000 მცხოვრებზე ერთი ასეთი სკოლა მოდიოდა“. (საყვარელიძე, 1990:19)

ამის გათვალისწინებით განათლების სამინისტრომ საჭიროდ ჩათვალა ჯეროვანი ყურადღება მიქცეოდა თბილისის გუბერნიას, განსაკუთრებით იმ ადგილებისთვის, საიდანაც ძნელი იყო ტრანსპორტირება საქართველოს დედაქალაქში და სწავლა–განათლების მიღება. მაგრამ თბილისის გუბერნიისადმი ყურადღების მიქცევა არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს განათლების სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა საქართველოს დანარჩენ რეგიონებს. იგი მაქსიმალურად ცდილობდა ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დახმარების ხელი გაეწვდინა ყველა რეგიონისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს იურისდიქცია იმ პერიოდისათვის არ ვრცელდებოდა ბათუმის ოლქზე და ამ ტერიტორიაზე უცხოელი

დამპყრობლები ატარებდნენ ანტიეროვნულ პოლიტიკას, საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა დახმარება აღმოეჩინა აჭარის მოსახლეობისათვის.

როგორი მდგომარეობა იყო აჭარაში სწავლა–განათლების მხრივ 1918–1921 წლებში? როგორც ცნობილია, 1918 წლის 4 ივნისს საქართველოსა და თურქეთს შორის „ზავისა და მეგობრობის“ ხელშეკრულებით, ბატუმის ოლქის საკითხი (ვის უნდა რგებოდა წილად საქართველოსა თუ თურქეთს) უნდა გადაეწყვიტა აჭარის მოსახლეობას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე აშკარად შეიმჩნეოდა თურქების ზეწოლა აჭარის მოსახლეობაზე. თურქები აჭარლების გადასაბირებლად შანტაჟის ყველანაირ ფორმას მიმართავდნენ. 14 ივლისს რეფერენდუმი მოეწყო ბათუმის ოლქში. საერთაშორისო წესების უხეში დარღვევით თურქეთმა მაინც გაიტანა თავისი. საქართველოს ხელისუფლებამ რეფერენდუმი უკანონოდ ჩათვალა და პირველ აგვისტოს პროტესტიც შეიტანა თურქეთის მთავრობაში, მაგრამ ამაოდ, თურქი დამპყრობლები ბათუმის ოლქში კვლავ განაგრძობდნენ პარპაშს. ეს კუთხე მათ მთლიანად გააპარტახეს, სასკოლო დაწესებულებებში შეწყდა მეცადინეობები, დაიტაცეს და დაანგრიეს სასკოლო ავეჯი. საგრძნობლად გაიზარდა მედრესეთა რაოდენობა. თურქი ოკუპანტების ვანდალური აქციები ბათუმის ოლქში გრძელდებოდა ექვსი თვის განმავლობაში, ვიდრე მუდროსის ხელშეკრულებამ ამ რეგიონიდან მათ ფეხი არ მოაკვეთინა.

„ერთადერთი საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც სასტიკად წინააღმდეგობას უწევდა თურქ დამპყრობლებს, 1917 ბათუმში ბათუმში დაარსებული ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება იყო. იგი მოსახლეობისადმი მატერიალური დახმარების გაწევის გარდა, აწყობდა საგანმანათლებლო კურსების მეცადინეობებს, ატარებდა ლექციებსა და სახალხო კითხვებს, ხსნიდა ქოხ–სამკითხველოებს, სცემდა წიგნებს და სხვა.“ (ბაბილოძე,1975:37)

1919 წელს ზემოთდასახელებული საზოგადოება და „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება“ გაერთიანდა და მის ბაზაზე შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება“.

საზოგადოების სამოქმედო პროგრამაში დიდი ადგილი ეთმობოდა კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობას, გათვალისწიინებული იყო ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის ხელის შეწყობა ცოდნის გასაღრმავებლად. საქველმოქმედო საზოგადოება წარმატებით ატარებდა სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის პოლიტიკური პროგრამის კურსს და წარმოადგენდა ამ კომიტეტის განუყოფელ ნაწილს. ამ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს მემედ აბაშიძე. მის შემადგენლობაში შევიდნენ ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრები: ხასან ლორთქიფანიძე, ზია აბაშიძე, გრიგოლ ელიავა, ჯემალ ქიქავა, ზექერია შერვაშიძე, შუქრი ვარშანიძე და სხვები. ეს იყო აჭარაში ერთ–ერთი გავლენიანი, ეროვნული სულისკვეთებით მებრძოლი საზოგადოება, რომლის მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის სულიერი ერთობის განმტკიცება.

საქველმოქმედო საზოგადოება კარგად ხედავდა აჭარაში სწავლა განათლების სფეროში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას და ამ კუთხით წარმართავდა თავის მუშაობას. აჭარაში ქართული სკოლების გახსნა, მართლაც აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა. მშობლიურ ენას და კულტურას ნაზიარები ქართველი მაჰმადიანები, ცხადია, ნათლად გააცნობიერებდნენ მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შეკავშირების აუცილებლობას.

მემედ აბაშიძის პირადი ინიციატივით, სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების ბიუჯეტი, პირველ რიგში, სკოლებს აფინანსებდა. სწორედ ამაზე მეტყველებს საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით 1919 წელს „ხუცუბნის, ალამბრის, წყავროკის, ყოროლისთავის, ჩხუტუნეთისა და ქვემო აგარის (საქველმოქმედო საზოგადოების მიერ ამ სოფლების სკოლებში მეცადინეობა განახლებულა 1919 წელს) სკოლების საჭიროებისათვის გამოიყო 27550 მანეთი.“(გუგუნავა,1997:155)

საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა აჭარაში სახალხო განათლების სისტემის განმტკიცების, სკოლაში სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების და საერთოდ განათლების სფეროს პროგრესის საქმეში, უდიდეს მნიშვნელობას ადგილობრივ კადრებს ანიჭებდა. გამგეობის ასეთი პოზიცია უაღრესად შორსმჭვრეტელური იყო. ადგილობრივი კადრები უფრო ადვილად

შეძლებდნენ მოსახლეობაში ნდობის მოპოვებას, ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისათვის. სწორედ ამ მიზნიტ მემედ აბაშიძე გარკვეულ ნაბიჯებს დგამს: „1919 წლის 4 ოქტომბერს იგი თბილისში აგზავნის მიმართვას, რომელშიც ითხოვს, რომ იუსუფ ქათამაძე საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯით მიღებულ იქნას თბილისის საფერშლო სკოლაში. გამგეობა მოითხოვდა, გამოეკვლიათ, რამდენი დასჭირდებოდა მას ხარჯად, რაც ცნობის მიღებისთანავე გადაეგზავნებოდა.“(გუგუნავა, 1997:225)

იუსუფ ქათამაძე, მართლაც მიირეს საფერშლო სასწავლებელში. მან დაამთავრა იგი და მრავალი წლის განმავლობაში უანგაროდ ახმარდა თავის ცოდნას აჭარის მოსახლეობას.

როგორც თურქთა, ასევე ინგლისელთა ბატონობის პერიოდში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქალთა განათლება. ეს გარემოება უყურადღებოდ არ დარჩენია საქველმოქმედო საზოგადოებას. მის ინიციატივას მხარი აუბა ე.წ. „ეროვნულმა საბჭომ“ და ერთობლივად გადაწყვიტეს ქალებისა და ვაჟებისათვის ქართული გიმნაზიის გახსნა.

1919 წლისათვის ბათუმის ოლქში განათლების სფეროს ხელმძღვანელობდა შვარაზმელი ზაჩინიაევი, რომელიც ეწეოდა ანტიქართულ პროპაგანდას, ყველანაირად ცდილობდა აჭარის მოსახლეობაში ყოველგვარი ქართული ნაციონალური სულისკვეთების ჩახშობას და კატეგორიულადაც გაილაშქრა ქართული გიმნაზიის გახსნის წინააღმდეგ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა ეროვნული ურთიერთობის მოგვარების მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც მოითხოვდა სასწრაფო გადაწყვეტას თუ არა, ამ საკითხების მოგვარებისათვის ხელის შეწყობას მაინც. საქართველოს განათლების სამინისტრო უყურადღებოდ არ ტოვებდა სამშობლოსგან დროებით გაწყყვეტილ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებს. ამისათვის თავისი რწმუნებულიც კი გაგზავნა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, რათა ახლოს გასცნობოდნენ სკოლების მდგომარეობას. სწორედ აჭარის მოსახლეობის მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი ის ფაქტი, რომ 1919 წლის 1 მარტს ქ. ბათუმში გაიხსნა ქართული გიმნაზია ქალებისა და ვაჟებისათვის, რისთვისაც საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ, როგორც გიორგი საყვარელიძე

წერს წიგნში („მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა 1918–1921წწ“)– გაიღო 100000მანეთი. (საყვარელიძე,1990:17)

ქართული გიმნაზიის პირველი დირექტორი იყო, შემდგომში საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მუშაკი, პროფესორი, აკაკი ფაღავა. გიმნაზიის მასწავლებლები იყვნენ: დ. ქუთათელაძე, ვ. გალდავა, ლ. ჩიმაკაძე და სხვა.

აჭარის ცენტრალურ არქივში დაცული მასალები ცხადყოფენ, რომ აჭარის მკვიდრნი ვერ ეგუებოდნენ არსებულ სინამდვილეს. მიუხედავად ზაჩინიაევის წინააღმდეგობისა, 1919 წლის 1 მარტს ბათუმში მაინც გაიხსნა ქართული გიმნაზია ქალებისა და ვაჟებისათვის. აი რას გადმოგვცემს გაზეთი „ერთოობა“: „გიმნაზია გაიხსნა მარტში, ბავშვები ბლომად გამოცხადდნენ. ვსთხოვეთ მთავრობას ბინა, მივუთითეთ ისეთ ბინებზე, რომლებიც ან სულ თავისუფალი იყო, ზოგ სკოლაში სამოციოდე ბავშვი სწავლობდა. უარი გვითხრეს, მაშინ ვთხოვეთ ნება, რომ შეეფარებინათ გიმნაზია რომელიმე სასწავლებელში, ნასადილეობით, ამაზეც უარი მივიღეთ. ამრიგად, ჩვენი გიმნაზია დარჩა უბინაოთ. ჩვენ იძულებული გავხდით მოგვეთავსებინა ნაწილი ქართული სკოლის შენობაში და ნაწილი კერძო სახლში, პატარა ოთახებში, სადაც უჰაერობის გამო მოწაფეებს გული მისდიოდათ და მასწავლებლებიც ძლივს იდგნენ ფეხზე. ქალაქს ქართული გიმნაზია უნდა დაებინავებინა და გუბერნატორმა არ დაამტკიცა, ვინაიდან განათლების გამგეს ბატონ ზაჩინიაევს არ სურდა, თუმცა საბჭოში იუდასაებრივათ ამბორ გვიყო. არავითარმა მუდარამ, თხოვნამ, დელეგაციებმა არ გასჭრა. ამნაირად, ქართული გიმნაზია და ქართული სკოლა დღესაც უბინაოდაა. გიმნაზია, სადაც 600მოსწავლე სწავლობს, მეცადინეობს ძველ შარშანდელ ბინაზე. ისევ დილა საღამოს განუწყვეტლივ, მარა როგორც მასწავლებლები, ისე მოწაფეები ერთხმად აცხადებენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, თუგინდ ორი თვეც, გიმნაზია უნდა დაიხუროს, რადგან ვერც მასწავლებლები და ვერც მოწაფეები ამ პირობებში მუშაობას ვერ გაუძლებენ. ქალაქის სკოლა კი სრულიად არ მეცადინეობს.“(გაზ.„ერთობა“1919:#233)

ბათუმის ოლქში ინგლისელთა მმართველი აპარატი ზაჩინიაევთან ერთად ხელოვნურად ჰქმნიდა ბარიერს სასკოლო განათლების შესაფერხებლად. სასკოლო შენობების უმრავლესობა საოკუპაციო ჯარებს ეკავათ, სკოლები, როგორც აღვნიშნეთ შეხიზნული იყო მათთვის გამოუსადეგარ შენობებში. კერძოდ, მაგალითისათვის

მოვიყვანოთ: ბათუმის პირველი სასწავლებელი მარინეს ქალთა სასწავლებელში, მუსლიმანთა სასწავლებელი სუკოიანის დაქირავებულ ბინაში, ებრაელთა სასწავლებელი დიასამიძის დაქირავებულ ბინაში, მეორე ქართული სასწავლებელი განლაგებული იყო მამუდ ხალილ–ოღლის ბინაში, გოგოლის სახელობის სასწავლებელი – მაზმანოვის დაქირავებულ ბინაში და ა.შ.“ (კომახიძე, 1995:123)

ზაჩინიაევმა ხელი შეუწყო ექიმ ოსეფეევს (რომელიც თბილისში ანტიქართული პროპაგანდისათვის საქართველოს მთავრობამ გააძევა) ბათუმში ეკლესიასთან ახლოს გაეხსნა რუსული სკოლა, რისთვისაც საოლქო თანხებიდან გადაერიცხა 280 000 მანეთი.

ზაჩინიაევის მიკერძოებულ საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ გაილაშქრა „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებამ;“ საქველმოქმედო საზოგადოებას მხარი აუბა 500–600 ქართველმა მოსწავლემ; ისინი მოითხოვდნენ, რომ სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვისათვის გადაეცა მათთვის ნორმალური შენობა, მაგრამ ამაოდ.

1919 წლის მარტს ბათუმში გახსნილი ქალებისა ვაჟებისათვის განკუთვნილი ქართული გიმნაზია 1920 წელს გაიყო ქალთა და ვაჟთა ქართულ გიმნაზიებად, რუსული პარალელური კლასებით.

ამის პრაქტიკული განხორციელება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ პროქართული ორიენტაციის პოლიტიკურმა ძალებმა, ზაჩინიაევის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მომახერხეს ამ იდეის ხორცშესხმა. ჯერ იყო და ნებართვის მიღებას დიდი დრო დასჭირდა, მერე შენობის გამონახვას, პარტების შოვნას და სხვა. მოწაფეთა რიცხვი სამასს გადასცილდა. შენობა, რომელშიაც გიმნაზია არის მოთავსებული, ამ მიზნით ყოვლად გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

1919 წლის 27 მარტს, ქალაქის საბჭოში უკვე მერამდენედ დაისვა საკითხი გიმნაზიისათვის სასკოლო შენობის გამოყოფის თაობაზე. საბჭოს რეაქციული შემადგენლობა ზაჩინიაევის ხელმძღვანელობით უარს ამბობს ქართველი დეპუტატების სამართლიან მოთხოვნაზე. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ხმათა უმრავლესობით ქალაქის საბჭომ მაინც დააკმაყოფილა ქართველი პატრიოტების სამართლიანი მოთხოვნა.

აჭარაში განათლების სფეროში არსებული კრიზისის დასაძლევად, საქართველოს მთავრობამ დამფუძნებელი კრების 1920 წლის 30 მარტის დადგენილებით, ბათუმის ქართულ გიმნაზიას ერთდროული დახმარების სახით 260 000 მანეთი გადაურიცხა. ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც ატარებდა აჭარაში ეროვნულ პოლიტიკას და საქართველოს მთავრობის იდეოლოგიური კურსის გამტარებლები იყვნენ, თავის მხრივ, საქართველოს მაშინდელი მთავრობა (იგულისხმება დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა რ.ა.), ამ ორგანიზაციებს ფინანსურად ეხმარებოდა. მარტო 1918 წლის 25 ოქტომბრიდან 1919 წლის 28 აგვისტომდე, მათ რესპუბლიკის მთავრობის მხრივ 1 მილიონ 975 ათასი მანეთის დახმარება გაუწია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ბათუმის ქართული გიმნაზიის სასარგებლოდ ტარდებოდა საქველმოქმედო, ტრადიციული საღამოები, რისთვისაც იწვევდნენ გამოჩენილ მწერლებსა და მომღერლებს თბილისიდან.

როგორც ცნობილია, ბათუმში გახსნილ პირველ ქართულ სკოლაში ძნელი იყო მაჰმადიან მოწაფეთა მიზიდვა. ამის ერთ–ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ბათუმში მაჰმადიანი ბავშვებისათვის თავშეფარაიც კი არ ყოფილა, უსახსრობის გამო, ბათუმის ოლქის სოფლებიდან შვილების ჩამოყვანა და ბათუმში დაბინავება უჭირდათ მშობლებს.

ამიტომაც იყო, რომ „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოებამ“ გადაწყვიტა ბათუმში მაჰმადიანი ბავშვებისათვის მოეწყო საზოგადო თავშესაფარი, რაც პრაქტიკულადაც განხორციელდა.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში შემონახულია აჭარის კულტურის დამსახურებული მუშაკის – ალექსანდრე ქათამაძის მოგონება, რომელიც ნათელს ჰფენს საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის ინიციატივას ბათუმში მაჰმადიანი ბავშვებისათვის (მათ შორის სოფლებიდანაც) საზოგადო თავშესაფრის მოწყობას. თავშესაფარი მემედ აბაშიძის უშუალო თაოსნობით გაიხსნა. ალექსანდრე ქათამაძე გადმოგვცემს: „მემედ აბაშიძემ ბათუმში (ამჟამად ლუკა ასათიანის ქუჩა N9) ქართველ მუსლიმანთათვის სწავლა–განათლების მისაღებად დააარსა პანსიონი, რომელშიც თავმოყრილი იყო აჭარის ყველა რაიონის ახალგაზრდობა, განურჩევლად წოდებისა... სწორედ 1920 წლის სექტემბრიდან აქ ვცხოვრობდი. ჩვენ ყველანი უზრუნველყოფილნი ვიყავით ბინით, საწოლითა და სურსათით. მიუხედავად

მაშინდელი ცუდი და გაჭირვებული პირობებისა, ეს პანსიონი იყო პატრიოტული და კულტურული აღზრდის პირველი კერა აჭარაში, სახელოვანი მამულიშვილის მემედ აბაშიძის უშუალო თაოსნობით რომ იყო დაარსებული.“ (გუგუნავა,1997:152)

იმ მზრუნველობაზე, რასაც საზოგადოება იჩენდა ინტერნატისადმი, მეტყველებს მისი ხარჯთაღრიცხვაც. 1919 წელს გამგეობამ 21 500 მანეთი გამოყო. გამგეობამ ქალაქ ბათუმში ბიბლიოთეკაც კი დაარსა. პანსიონში აღზრდილმა მოსწავლეებმა, თითქმის ყველამ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება. მათ შორის ბევრმა ასახელა სრულიად საქართველო. მაგალითისათვის: მამია კომახიძე (ექიმი, აკადემიკოსი), ახმედ ნოღაიდელი (ქიმიკოსი, პროფესორი), იუსუფ ცივაძე (იურისტი) და სხვა.

„სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების“ მეოხებით დაწყებითი სკოლები გაიხსნა: „1918 წ.–წყავროკაში, 1919 წ.–ანგისაში, 1920 წ.–აჭარისწყალსა და ერგე–ჯოჭოში, ხოლო 1921 წ.–ფიჭვნარსა და მახინჯაურში.“(აჭარის ცსა,საქმე(106): 73)

ეს საზოგადოება ხელს უწყობდა აჭარაში ჟურნალ–გაზეთებისა და წიგნების გავრცელებას, გაზრდილ სტიპენდიებს აძლევდა ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსულ მოსწავლეებს და სხვა.

„სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების საგანმანათლებლო პოლიტიკის გაშუქებისას, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ამ საზოგადოების მიერ დაარსებული გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, რომელმაც 1919 წლის იანვარში იზეიმა თავისი დაბადება. გაზეთი 1919–1921 წწ. გამოდიოდა და მისი რედაქტორი თახსინ ხიმშიაშვილი იყო. გამოვიდა ამ გაზეთის 500 ნომერი, რამაც დიდი როლი შეასრულა აჭარის მოსახლეობის გათვითცნობიერებისათვის. როგორც ამ გაზეთის პირველ ნომერშია აღნიშნული, გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ დაარსების ერთ–ერთი მიზანი სწავლა–განათლების, ლიტერატურის, მეტყველების, ისტორიისა და სხვა საკითხების გაშუქება იყო.

აქვე ხაზი იმასაც უნდა გაესვას, რომ საქველმოქმედო საზოგადოებას ბევრჯერ დაუსვამს სასკოლო ქსელის გაფართოების საკითხიც, მაგრამ თვითონ საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედების არეალი უაღრესად შეზღუდული იყო, და ამ პრობლემის მოუგვარებლობის მიმზეზიც უფრო მეტად უცხოელ დამპყრობელთა ანტიეროვნულ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ.

როგორც თურქთა, ასევე ინგლისელთა პოლიტიკური ორიენტაცია ეწინააღმდეგებოდა ბათუმის ოლქში სასკოლო ქსელის გაფართოებას, არამედ აფერხებდა კიდეც ქართულ სასწავლებლებში სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალურად წარმართვის პროცესს. აი რას იუწყება გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ : „სირცხვილის ალმური აგდის კაცს, გულის ბოღმით გევსება, როცა ამ საერთო გამოფხიზლების ჟამს, მოქალაქეს იმდენად დაბეჩავებულს ხედავ, რომ მის შვილთა აღზრდას, მშობლიური ვალის მოხდას არ ანებებენ და ხმა ვერ ამოუღიათ, მტრის ხელი სტაცებს მას უძვირფასეს საუნჯეს და თავის დასაცავად კრინტი ვერ დაუძრავს. აქ სკოლის ტიპზე ან მის უვარგისობაზე რომ იყოს ლაპარაკი, ეს ნაკლებად დამაღონებელი იქნებოდა, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ სწორედ ეს სკოლები ამოუღიათ ნიშანში, რომელთაც სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება ინახავს, რომლებსაც არაერთი და ორი ასეული მაჰმადიანი მუშისათვის უსწავლებიათ წერა–კითხვა ღვიძლ ენაზე. ამ სკოლების წინააღმდეგ ამხედრებულან, რომლებიც საღ პედაგოგიურ პრინციპებს ემყარებიან და როგორც თავისი ტიპით, ისე პროგრამით სავსებით შეფარდებული არიან ქართველ მაჰმადიანთა მოსახლეობასთან.“ (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“1920:#337)

ამ ანტიქართული საქმიანობის დამფინანსებლად გვევლინებიან თურქეთი, ინგლისის მთავრობა, დენიკინელები, ბაქოს თათრების საქველმოქმედო საზოგადოებანი.

ბათუმში, როგორც ცნობილია, მოქმედებდა ბაქოს თათრების საქველმოქმედო ორგანიზაციის განყოფილრბა, რომლის მიზანი იყო მოსახლეობაში თურქოფილური იდეების გავრცელება. საამისოდ ისინი ეფექტურად იყენებდნენ რელიგიურ მოტივებს. სწორედ ამ საზოგადოებამ შექმნა მტკიცე საძირკველი „სედაი მილეთელთა“ მოძრაობის გასაჩაღებლად, რომელიც პანთურქისტული საზოგადოების იდეოლოგიური ბრძოლის იარაღი გახლდათ. ამ ანტიეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ იბრძვის ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და იმდენს ახერხებს, რომ აჭარის მოსახლეობაში თანდათანობით ასუსტებს ამ რეაქციული მოძრაობის გავლენას.

მემედ აბაშიძე „სამუსლიმანო საქართველოს“ 1920 წლის 17 აპრილის ნომერში „ბათუმი საქართველოს“, 1920 წლის 18 აპრილის ნომერში – „სედაი მილეთის

მეგობარი“, 1920 წლის 21 აპრილის ნომერში – „რა საშუალებით გვებრძვიან ჩვენი მტრები“, გამოქვეყნებულ სტატიებში ხაზგასმით ამბობს, რომ აჭარა საქართველოს შემადგენელი ნაწილია, რომ „სედაი მილეთელები“, ფაშების აგენტები და დენიკინელები ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ აჭარის მოსახლეობა, ამიტომაც ხელს უშლიან აქაურ მოსახლეობაში განათლების სხივი არ შევიდეს, სწავლა–განათლება არ იქცეს სერიოზულ იარაღად ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა გასაერთიანებლად. აქვე ყურადღებას ამახვილებს საქველმოქმედო საზოგადოების უპირველეს დანიშნულებაზე და მოუწოდებს საზოგადოებას, ხმა აღიმაღლონ ამ რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელსაც მოუნდომებია განათლების იმ ლამპრის ჩაქრობა, მომავალი თაობის გზის ჩირაღდნად რომ ქცეულა.

„სედაი მილეთელთა“ მოძრაობა სარწმუნოების ფაქტორითაც ცდილობს ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის შუღლის ჩამოგდებას. ისინი ცდილობენ დაარწმუნონ ბათუმის ოლქში ანტიეროვნული ხელისუფლება, რომ აჭარის მოსახლეობას სურს სკოლებში სწავლების თურქულ ენაზე წარმართვა, ხოლო მოსახლეობაში ავრცელებენ აზრს, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, მისი განათლების სისტემა მათ გაქრისტიანებას უქადის. გაზეთი „ერთობა“ წერდა: სარწმუნოება სინდისის საქმეა. ყველას აქვს უფლება ის ღმერთი იწამოს, რომელიც მისმა სინდისმა აირჩია. აქედან ცხადია, ყველა სარწმუნიებას პატივისცემით უნდა მოვეპყრათ. ეს კარგად აქვთ შეგნებული ქართველ ქრისტიანებს და ამიტომაც ჩვენი ძმები დიდი პატივისცემით ეპყრობიან სხვა სარწმუნოებას.

თვით „სედაი მილეთი“–ს კალმოსნები კი, როგორც ჩანს ასე არ იქცევიან. სწორედ ისინი აყენებენ დიდ შეურაცხყოფას სარწმუნოებას, როცა წერენ: „ქართველებს სურთ შემოიღონ ჩვენს სკოლებში საზიზღარი ქრისტიანული ენა“. ისინი წერენ: ჩვენი დედაენა თურქული ენაა. ჩვენი მშობლიური ენა თურქული კი არ არის, არამედ ქართულია.

დიახ, ჩვენი მშობლიური ენა ქართულია ქართულია და ჩვენ ვართ ქართველი მუსლიმანები. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ ბალღმაც კი უნდა იცოდეს. იციან ეს „სედაი მილეთი“–ს კალმოსნებმაც, მაგრამ მათ ხომ ჭეშმარიტება არ აინტერესებთ, მათი მიზანია მხოლოდ ჩვენი არევ–დარევა, ჩვენი წმინდა წყლის ამღვრევა, რომ უფრო ადვილად ინადირონ“. (ციტ. გუგუნავას წიგნიდან,1997:164)

თუმცა ანტიქართული ორგანიზაციები კვლავაც განაგრძობენ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლების წინააღმდეგ ბრძოლას, არწმუნებენ ინგლისის მთავრობას, რომ ქართული სკოლების დახურვა აჭარის მოსახლეობის ნებაა და ჩვენ მისი პატიოსანი აღმასრულებლები უნდა ვიყოთო.

ასეთი ცრუ პროპაგანდის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“: „ ... ჩვენი მხარე, უპირველესად ყოვლისა, საჭიროებს სწავლა–ცოდნას და აი, სწორედ ამ მეტად დიდ საჭიროებას მიაქცია ყურადღება საქველმოქმედო საზოგადოებამ, მან გახსნა სკოლები ჩვენი მხარის სხვადასხვა სოფლებში, მარა ბნელი პირები, ადერბეიჯანქემალის აგენტები ამ გარემოებამ დიდად აღაშფოთა. მათ განიზრახეს ჩაქრობა იმ ლამპრისა, რომელიც გზას უნათებს ჩვენს ახალ თაობას. მათ განიზრახეს ახალი სკოლების მოსპობა, ბევრ ალაგს ვერ შეძლეს. ვერ შესძლეს ეს სოფელ ხუცუბანში და ორთაბათუმში და მიმართეს შემდეგ საშუალებას: ორთაბათუმის ბნელმა პირებმა დენიკინელების და ადერბაიჯანის აგენტების ჩაგონებით თხოვნები აფრინეს დენიკინელ საჩინიაევთან (ბათუმის ოლქის სკოლების ინსპექტორია), რომ ვითომ საქველმოქმედო საზოგადოების ორთაბათუმის სკოლის მასწავლებლები ძალით მიათრევდნენ სკოლაში ბავშვებს, რომ თითქოს ეს მასწავლებლები საქართველოს მთავრობის სასარგებლო აგიტაცია–პროპაგანდას ეწევიან. დენიკინელმა ზაჩინიაევმა, დიდად აღტაცებულმა ასეთი თხოვნით, თავისებური დასკვნით ეს თხვონები ინგლისის აქაურ მთავრობას წარუდგინა. ამ უკანასკნელმა მყის აფრინა კაცი გამოსაძიებლად, რომელიც შემდგომ დასკვნას დასდგომია: ვითომ მცხოვრებლებს ქართული სკოლა არ სურდეთ და ამისათვის მათთვის ორთაბათუმში უნდა გაიხსნას რუსული სკოლა“. (გაზ „სამუსლიმანო საქართველო“1920:341)

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება აჭარაში ეროვნული მოძრაობის აზვირთების შიშით, ანტიქართულ ძალებს განათლების სფეროში რუსიფიკატორული და პროთურქული პოლიტიკის გატარებაში აშკარად უწყობდა ხელს.

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ მედგრად აღუდგა წინ ანტიეროვნული, რეაქციული ძალების მოწოდებას ქართული სკოლების დახურვის, მშობლიურ ენაზე სწავლების უარყოფის შესახებ და განუმარტავდა მკითხველს ამგვარი მოწოდების

მოსალოდნელი ხიფათის შესახებ. „მათი სურვილია, – წერდა მემედ აბაშიძე, – ნასწავლი ხალხი თავიდან მოვიშოროთ, რომ უბრალო გაზეთის წამკითხველიც არ დარჩეს. ერთადერთი ლამპარი – სოფლის სკოლა ჩაქრეს და თვალახვეული დადიოდეს ხალხი. ვინ იტყვის ამას სამშობლოს გამყიდველისა და მოსყიდული გამცემების გარდა“. (ციტ. გუგუნავას წიგნიდან„მემედ აბაშიძე განმანათლებელი“1997:172)

ზემოთ დასახელებული ორგანიზაციები მხოლოდ ცრუ დაპირებებითა და ანტიქართული აგიტაციითროდი იფარგლებოდნენ, ისინი შეიარაღებულ თავდასხმებსაც აწყობდნენ ქართული განათლების კერების აღმოსაფხვრელად.

„ამ რამდენიმე დღის წინათ ხუცუბნის სკოლას თავს დასხმია შეიარაღებული ბრბო, რომელსაც უტიფრად განუცხადებია, რომ ქართულ სკოლას ისინი ვერ მოითმენენ, რომ შენობა და ყოველივე ქონება უნდა გადაეცეთ მათ და ისინი მოიყვანენ სკოლაში ადერბაიჯანელ მასწავლებლებს, თუ ეს არ შეგისრულებიათ ამ მცირე ხნის განმავლობაში (დაუდვიათ ვადა), მაშინ ყველას ამოგწყვიტავთო. . .

სკოლის შენობა, მთელი ქონება ამ სკოლებისა სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების კუთვნილებაა. მან კარგად იცის, რომ ჰამშარეთის სკოლა ხუცუბანში ვერ გაიხსნება, კარგად იცის, რომ ამით ისარგებლებენ დენიკინელ–ზაჩინიაევები და მცხოვრებლებს რუსულ სკოლას გაუხსნიან, მაგრამ ავაზაკების უკან მდგარი ვაჟბატონები ფიქრობენ, რომ ასეთი საშუალებით ხალხს, საქართველოს აიძულებენ და ჰგონიათ, რომ ამით ჰამშარეთის საქმეს აკეთებენ.“ (გაზ. „სამუსლიმანო საქართველო,“1920:341)

მართლაც, ასეთ ურთულეს პირობებში უაღრესად რთული იყო სასკოლო განათლების ქსელის გაფართოება მაშინ, როცა უფრო ადრეულ წლებში დაარსებულ სკოლებში მეცადინეობის ნორმალური ტემპით წარმართვა ჭირდა; მაგრამ საქველმლოქმედო საზოგადოებამ აჭარის მოსახლეობის ხელშეწყობით მაინც შეძლო სწავლების სასურველ დონეზე დაყენება. „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოეაბამ“ აჭარის მოსახლეობის მხარდაჭრით შეძლოო მის მიერ დაარსებულ სკოლებში სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტურად წარმართვა, შექმნა ოპტიმალური პირობები იმისათვის, რომ აჭარის მოსახლეობის დიდ ნაწილს სწავლა–განათლება მიეღო და გარკვეული როლი შეესრულებინა ამ

კუთხის კულტურული და ეკონომიკური აღმავლობისათვის. ამავე საზოგადოების უშუალო უშუალო ხელშეწყობით უნდა მოხერხებულიყო ბათუმში არსებული სახელოსნო სასწავლებლის ტექნიკურ სასწავლებლად გადაკეთება, რაც სასკოლო განათლების სფეროში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობისათვის ცხადი იყო, რომ ქვეყნის მატერიალური კულტურის აღორძინებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო ტექნიკური სასწავლებლის დაარსება. განვლილმა საერთაშორისო ომმა დაადასტურა ტექნიკურად ჩამორჩენილიქვეყნების აშკარა კრახი. თვით რუსეთიც კი, რომელიც დიდი ბუნებრივი სიმდიდრის მფლობელი იყო, ტექნიკურად სუსტ და ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. მის მიერ დაპყრობილ მხარეებში ტექნიკა–მრეწველობის განვითარების დინამიკას თუ მივადევნებთ თვალს, დავინახავთ, რომ იგი სრულიადაც არ ფიქრობდა ბუნებრივად მდიდარ საქართველოს დამოუკიდებლად ჰქონოდა ჯანსაღი მრეწველობის განვითარების საშუალება; ამიტომაც მისი ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავდა საქართველოს განაპირა მხარეები, აჭარის ჩათვლით, დამოკიდებული ყოფილიყო რუსეთზე, რითაც საქართველოს მოსახლეობაში ავრცელებდნენ იმ აზრს, რომ ჩვენს ერს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო.

სპეციალური სასწავლებლის დაარსება, მისი ნორმალურ პირობებში ჩაყენება, საჭირო სახელოსნოებით, ლაბორატორიებით აღჭურვა, პროფესიონალ მასწავლებელთა მიზიდვა და მათი მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფა, ჯოჯოხეთური სიძვირის პირობებში მართლაც დიდ ხარჯებს ითხოვდა. უცხოეთში ასეთ სასწავლებლებს ეხმარებოდნენ ფინანსურად, აქ კი, ბათუმის ოლქში, ამ საქმის მეურვეობა ოკუპანტებს არ სურდათ.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში გარკვეული ყურადღება მიექცა პროფესიულ–ტექნიკურ განათლებას. 1919 წლის 3 დეკემბრის სხდომაზე მოისმინეს მინისტრის ამხანაგის ინფორმაცია საქართველოში პროფესიული განათლების მდგომარეობის შესახებ, რომელმაც საკმაოდ პრობლემატურად წარმოაჩინა ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებები. მან განაცხადა, რომპროფესიული განათლება საქართველოში სრულიად არ არის მოწყობილი. არსებობს სულ რამდენიმე სკოლა და ისინიც არ არიან დაყენებული სასურველ დონეზე. არ არის გამომუშავებული თვით

ტიპი პროფესიული სკოლისა. რესპუბლიკას არ ჰყავს მომზადებული პირები, რომელთაც შეეძლოთ პროფესიული სასწავლებლების მართვა–გამგეობა.

საქველმოქმედო საზოგადოებამ დახმარებისთვის საქართველოს მთავრობას მიმართა. საქართველოს რესპუბლიკის ტექნიკური სასწავლებლის გამგე ბ. თაქთაქიშვილისაგან მოვიდა ცნობა, რომ განათლების სამინისტროს საბოლოოდ გადაუწყვეტია ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის საშვალო ტიპის სასწავლებლად გადაქცევა.

საქართველოს მთავრობამ გამოჰყო შესაბამისი თანხები და სახელოსნო სასწავლებელი მართლაც გადაკეთდა ტექნიკურ სასწავლებლად.

საქველმოქმედოსაზოგადოების გამგეობა ცდილობდა, პრესის საშუალებით საზოგადოება ინფორმირებული ყოფილიყო ბათუმის ოლქში განათლების სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ. სწორედ ამ გამგეობისა და მემედ აბაშიძის უშუალო მეოხებით აჭარის მოსახლეობა უტყუარ ინფორმაციებს ღებულობდა არა მხოლოდ ამ კუთხის, არამედ მთლიან საქართველოში აღმშენებლობითი პროცესების შესახებ.

საქართველოს ცენტრალურ არქივში შემონახულია ცნობები, 1921 წლის საქართველოში წერა–კითხვის მცოდნეთა რაოდენობის შესახებ: აღმოსავლეთ საქართველოში წერა–კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენდა 55%–ს, დასავლეთ საქართველოში 80%–ს. იყო მაზრები, სადაც წერა–კითხვის უცოდინართა რიცხვი 1–2%–ს შეადგენდა. ასეთები იყო ოზურგეთისა და ქუთაისის მაზრები.

ბათუმის ოლქში კი ისტორიული ვითარება თავის გავლენას მაინც ახდენდა როგორც ეკონომიკურ, ასევე კულტურის, განათლების ხასიათსა და მიმართულებაზე. აქედან გამომდინარე, ურთულეს პირობებში მნიშვნელოვანწილად მაინც მოხერხდა სასკოლო ქსელის ამოქმედება, თუმცა „1921 წლისათვის აჭარის 5 ათეულამდე სკოლაში 150 მასწავლებელი მუშაობდა. აჭარის ბედუკუღმართი ისტორიის გამო, მათგან არც ერთი აჭარელი არ ყოფილა. ამ დროისათვის აჭარაში წერა–კითხვა მოსახლეობის 7–მა პროცენტმა იცოდა. უმაღლესი განათლება აჭარელ მკვიდრთაგან მხოლოდ 3 კაცს ჰქონდა.“ (წულუკიძე, 2002:92)

მიუხედავად გაწეული მუშობისა, აჭარის მოსახლეობის უმრავლესობა წერა–კითხვის ელემენტარულ უნარ–ჩვევებსაც კი ვერ ფლობდა; დაარსებული ქართული სასწავლებლები არ იყო საკმარისი ამ დიდი ამოცანის გადასაწყვეტად.

ამრიგად, 1918 წლის 26 მაისი უმნიშვნელოვანესი თარიღია საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. როცა ქართველმა ერმა შეძლო ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება და დემოკრატიული საფუძველი შექმნა მთელ საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ცხოვრების ეროვნული პრინციპებით განახლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ოლქში 1918–1920 წწ. თურქები და ინგლისელები ბატონობდნენ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ მაინც შეძლო ქმედითი დახმარების გაწევა სასკოლო ქსელის ასამოქმედებლად.

ქალაქ ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო, „სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება“ქართული ეროვნული მთავრობის პოლიტიკური კურსის გამტარებელი ორგანიზაციები იყვნენ, რომლებმაც ეროვნული მთავრობის მხარდაჭერით შეძლეს არა მარტო მანამდე დახურული სკოლების განახლება, არამედ ახალი სასწავლო დაწესებულებების გახსნა.

მიუხედავად აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილის წერა–კითხვის უცოდინარობისა, ამ მართლაც უმძიმეს ხანაში, მათ მიერ გახსნილ სკოლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მოსახლეობისათვის არამრტო ელემენტარული განათლების მიღების, არამედ მათივ ეროვნული გათვითცნობიერებისათვის.

დასკვნები

ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში აჭარაში ვერ ჩამოყალიბდა ისლამური კულტურა. ხალხმა თავის წიაღში შეინახა და გამოატარა ეროვნული კულტურის ნიშნები, პირველ რიგში ქართული ენის სახით.

1878 წელს აჭარამ თურქთა სამსაუკუნოვან ბატონობას თავი დააღწია და დედასაქართველოს დაუბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა როგორც მთელ საქართველოში, ისე საქართველოს ამ რეგიონშიც, აჭარაში მის დამკვიდრებას მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. აჭარის ერთ დროს დაკნინებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რამაც ნოყიერი ნიადაგი შექმნა საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისთვის.

ოსმალთა ბატონობისგან განთავისუფლებულ აჭარაში სამი სასკოლო სისტემა ჩამოყალიბდა: ა) არსებობას განაგრძობდა მაჰმადიანური სკოლები – მედრესეები, ბ) რუსეთის ბატონობის დამყარების გამო შეიქმნა ცარისტული სასკოლო სისტემა, გ) დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში საქართველოს ეროვნული ძალების დახმარებით შეიქმნა ქართული სასკოლო სისტემის გავრცელების ხელსაყრელი პირობები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით 1881 წლის მარტში გახსნილი ბათუმის პირველი ქართული სკოლა წარმოადგენდა ისეთ სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდას ეწეოდა თურქეთის სამასწლიანი ბატონობისაგან გათავისუფლებული ბათუმის ოლქში. იგი თავისი მიზანსწრაფულობით აღვივებდა მაჰმადიან მოსწავლეებში ეროვნულ გრძნობას, უპირისპირდებოდა ცარიზმის თვითმპყრობელურ, რეაქციულ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას. სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე, მართალია, ვერ მიიზიდა მაჰმადიან მოსწავლეთა დიდი კონტინგენტი, მაინც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი აჭარის მოსახლეობის დეფორმირებული ცნობიერების აღსადგენად, მაჰმადიან ქართველებში ეროვნული შეგნების ჩამოსაყალიბებლად.

,,ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ დიდი დაბრკოლების მიუხედავად, აჭარაში ქართული სკოლების გახსნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და დიდი სამსახური გაუწია აჭარის მოსახლეობას, მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ძმობა-ერთობის გამყარებისა და განმტკიცების საქმეს. საქველმოქმედო საზოგადოებამ სწავლების ქართულ ენაზე დაფუძნებით გამოიწვია აჭარის მოსახლეობის დიდი ინტერესი და ნდობა; ამით საშუალება მისცა აჭარის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჩაეხედა იაკობ გოგებაშვილის ,,დედაენა”-ში, გაეთავისებინა იგი, ერთხელ კიდევ განეცადა საკუთარი ქართული წარმომავლობით მოგვრილი სიამაყის გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ ისინი სულითა და ხორცით ქართველები იყვნენ.

მეფის რუსეთის მიერ დამკვიდრებულ აჭარაში საერო განათლებასთან ერთად მაჰმადიანური სასკოლო განათლება თითქმის ხელუხლებელი დარჩა, კვლავაც არსებობდა თურქული რელიგიურ-კონფესიური სკოლები, სადაც სასწავლო პროცესს

წარმართავდნენ თურქოფილური და ისლამისტური ორიენტაციის მქონე მოლა-მასწავლებლები, რომლებიც ბავშვებს მათთვის უცხო არაბულ ენაზე აზეპირებდნენ ლოცვებსა და რელიგიურ დოგმატებს.

აღნიშნული სკოლები ემსახურებოდა აჭარელი ბავშვების გათურქებასა და მაჰმადიანური რელიგიური ფანატიზმით გამსჭვალვა. ამასთან, ეს სკოლები ვერ უწყობდნენ ხელს ახალგაზრდების გონებრივ განვითარებას. სწავლებასა და სწავლაში გაბატონებული იყო უაზრო, მომქანცველი ზუთხვა და მექანიკური წვრთნა, გაბატონებული იყო მკაცრი ფიზიკური დასჯა, რაც მთლიანად იყო მოკლებული ზოგადპედაგოგიურ, მეცნიერულ საფუძვლებს.

ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკა საქართველოსი მკვეთრად გამოხატულ კოლონიალურ ხასიათს ატარებდა. იგი ცდილობდა ადგილობრივი საგანმანათლებლო სისტემა მაქსიმალურად დაექვემდებარებინა საერთო საიმპერიო სისტემასთან. ამრიგად, ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებულ აჭარაში ორმაგი უცხო საგანმანათლებლო სასკოლო სისტემა არსებობდა და ორივე ანტიეროვნული პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა.

აჭარაში მეფის რუსეთის მიერ დაარსებულ სკოლებში სწავლების რუსულ ენაზე წარმართვით რუსეთის მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემცირებინათ ქართული ენის ღირსება და ამით აღმოეფხვრათ ,,ინოროდცებში" ეროვნული მეობის შეგნება, შუღლი ჩამოეგდოთ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის.

იმპერიული რუსეთის მიერ დაარსებული სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას და არ პასუხობდა ხალხის მოთხოვნებს.. და მაინც, დაარსებულმა სასწავლებლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს აჭარის მოსახლეობაში წერა-კითხვისა და ელემენტარული განათლების გავრცელების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

მიუხედავად აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილის წერა-კითხვის უცოდინარობისა, ამ მართლაც უმძიმეს ხანაში, მათ მიერ გახსნილ სკოლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მოსახლეობისათვის არა მარტო ელემენტარული განათლების მიღების, არამედ მათი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის.

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა შეძლო ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება და დემოკრატიული საფუძველი შექმნა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ცხოვრების განვითარებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ოლქში 1918-1921 წწ. თურქები და შემდგომ ინგლისელები ბზტონობდნენ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ მაინც შეძლო ქმედითი დახმარების გაწევა ქსელის ასამოქმედებლად.
დამოუკიდებელმა საქართველოს მთავრობამ შექმნა განათლების ეროვნული სისტემა. მკვეთრი ნაბიჯები გადაიდგა სკოლების გაეროვნულებისთვის.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში გამოხატული ზოგადსაკაცობრიო პრინციპებით და ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ცდილობდა თავის საღვრებში თანასწორად უზრუნველეყო ქვეყნის ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ყურადღება მიექცია დედასამშობლოსთან დროებით მოწყვეტილ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის.

ქალაქ ბათუმის ეროვნული საბჭო, სამუსლიმანო საქართვველოს საქველმოქმედო საზოგადოება ქართული ეროვნული მთავრობის პოლიტიკურიკურსის გამტარებელი ორგანიზაციები იყვნენ, რომლებმაც ეროვნული მთავრობის მხარდაჭერით შეძლეს არამარტო მანამდე დახურული სკოლების განახლება, არამედ ახალი სასწავლო დაწესებულებების გახსნა.

მიუხედავად აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილის წერა-კითხვის უცოდინარობისა, ამ მართლაც უმძიმეს ხანაში, მათ მიერ გახსნილ სკოლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მოსახლეობისათვის არამარტო ელემენტარული განათლების მიღების, არამედ მათი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე მ, მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების სულიერი ერთობა, გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, #9
2. აბაშიძე ჰ, მილოცვა, გაზ. „ერთობა“, 1918, #107
3. ბაბილოძე გრ, ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან, გამომც.„საბჭოთა საქართველო“, ბათუმი 1975
4. ბექირიშვილი ი, აჭარა ქართველი მწერლების შთაგონების წყარო, გამომც. „აჭარა“, ბათ.1997
5. გოგებაშვილი ი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, მეორე ტომი, „სახელგამი“, თბ.1940

6. გობრონიძე ა, იაკობ გოგებაშვილი და აჭარა, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათ.1970

7. გუგუნავა ნ, მემედ აბაშიძე განმანათლებელი, გამომც. „აჭარა“ ბათ,1997

8. დავითაძე ე, სოფლის აღმაშენებელი, გამომც.„საქართველო“, თბ.1992

9. კლდიაშვილი დ, ჩემი ცხოვრების გზაზე, გამომც. „საბჭოთა აჭარა“, ბათ.1991

10. საყვარელიძე გ, მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა 1918-1921, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990

11. წულუკიძე ვ, განათლების ისტორიისათვის აჭარაში, გამომცემლობა „აჭარა“ 2002

12. ჭიჭინაძე ზ, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, გამოცემულია მანსეტაშვილის სტამბაში, ტფ.1914

13 .გაზ. „დროება“1878 #126

14. გაზ.„ერთობა“ 1919 #233

15. გაზ.„ერთობა“ 1920 #178

16. გაზ.„ერთობა“ 1920 #179

17. გაზ. „სამუსლიმანო საქართველო,“ 1920 #337

18. გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“ 1920 #341

19. გაზ. „ბათუმის ფურცელი“, 1920, #30

20. საქ.ცსა საქმე36#148

21. აჭარ. ცსა,საქმე(106)#73